Изучалось растяжение живого седалищного нерва лягушки и кошки под влиянием груза и затем обратное укорочение его после снятия груза при разных физиологических условиях. Одна часть опытов проводилась путём миографической записи. В другой части опытов измерение длины нерва производилось при помощи циркуля.

1. Живые нервы позвоночных животных представляют из себя упруго-вязкую систему и обладают, аналогично мышцам, эласто-пластическими свойствами.

2. При растяжении нерва обнаруживаются две характерные фазы удлинения: а) быстрая, протекающая в течение первых 1—2 секунд растяжения и б) медленная, протекающая в последующее время опыта.

I-ая быстрая фаза растяжения превосходит последующее растяжение во II-ой медленной фазе примерно в 3 раза, даже если растяжение производилось в течение многих часов.

3. Степень удлинения нерва в значительной мере зависит от величины растягивающего груза; при увеличении груза удлинение нарастает в большей мере в I-ой быстрой фазе; удлинение нерва тем больше, чем больший растягивающий груз действует на нерв в течение одного и того же периода времени. Однако нет между ними пропорциональ-

мой зависимости: пропорционально удлинению от малых грузов, больше, чем от больших.

4. Степень удлинения нерва при растяжении зависит также от длительности растяжения. Удлинение нерва тем большее, чем продолжительнее действовал один и тот же груз.

5. Сравнительное изучение удлинения нерва в различных растворах: физиологическом, Рингера и Рингера + глюкоза не дало ощутимой разницы в степени удлинений.

6. Обеспечение притока кислорода не оказывает никакого влияния на степень удлинения нерва при растяжении.

Удлинение нерва при действии растягивающего груза является, в основном, явлением физического порядка и видимо не зависит от протекающих в нерве физиологических процессов.

7. Обратное укорочение нерва после снятия груза складывается также из 2-х характерных фаз: 1) быстрой, протекающей в течение первых 1—2 секунд после снятия груза и 2) медленной, протекающей в последующее время опыта. Укорочение нерва, происходящее в течение 1-ой быстрой фазы, превосходит в 2—3 раза последующее укорочение в течение многих минут и даже часов.

8. При действии малых растягивающих грузов (2—12 г) и недлительном растяжении нерва, проявляется полная эластичность его, т. е. нерв возвращается к своей первоначальной исходной длине. При средних и больших грузах нерв полностью не возвращается к исходной длине; в обычных условиях опыта остаётся непроходящее пластическое удлинение величиной от 1,5—8,5%.

9. Величина растягивающего груза оказывает свое влияние на первую фазу последующего укорочения нерва, после снятия груза. Чем большим грузом вызвано растяжение нерва, тем большее укорочение наблюдается тотчас по снятии груза.

10. Величина растягивающего груза оказывает свое влияние также и на величину остаточного удлинения. Остаточное удлинение нерва после снятия груза тем больше, чем больший груз действовал на нерв при одной и той же продолжительности растяжения.

11. Изучение обратного укорочения нерва после снятия груза в растворах физиологическом, Рингера, Рингера + глюкоза (1%) показало некоторое малое снижение % остаточного удлинения (1—2%) в растворах Рингера + глюкоза и Рингера против данных, полученных при работе в физиологическом растворе.

12. Опыты с изучением влияния кислорода на степень обратного укорочения нерва, после его растяжения, дали следующие результаты:

а) При регулярном притоке кислорода живые нервы, всегда возвращались после удаления груза к своей исходной первоначальной

длине. Обратное укорочение нерва в атмосфере кислорода ускоряется, нерв быстрее возвращается к исходной длине. Причём это ускорение укорочения целиком приходится на вторую фазу.

б) При таком же притоке кислорода и тех же растягивающих грузах, мёртвые нервы не возвращались к исходной длине.

Работа выполнена по заданию и под непосредственным руководством акад. Бериташвили. За руководство и помощь в выполнении и оформлении работы приношу академику Ивану Соломоновичу Бериташвили глубокую благодарность.

ЛИТЕРАТУРА

1. Герман А., Руководство к физиологии, т. II, ч. I, 1889 г.
2. Мурашев В., Изменение механических свойств кожи, 1908 г.
3. Хвольсон О. Д., Курс физики, т. I, стр. 622, 1923 г.
4. Физический словарь, т. V, 622, стр. 332.
5. Бериташвили (Беритов) И., О пластических свойствах скелетной мышцы. Сборник трудов посв. 50-ти летию научно-педагогич. деятельности В. В. Воронина, 1941 г.
6. Бериташвили (Беритов) И. и О. Нивинская, О собственном тоне скелетной мышцы. Труды Института физиологии имени акад. Бериташвили, № 4, 1941 г.

P. Evseyev

On the plastic and elastic properties of the nerve of vertebrates

Summary and Conclusions

The extensibility of a living sciatic nerve of a frog and cat was investigated and then its shortening again after removing the weight used for stretching, in various physiological conditions. One part of the experiments was carried out by means of myographic records. In the other part of the experiments the change in length of the nerve was measured by dividers.

1. Living nerves of vertebrates represent a visco-elastic system and possess, analogous to muscles, elastic and plastic properties.

2. When a nerve is stretched two characteristic phases of elongation are displayed: 1) a quick one, passing during the first 1—2 seconds

of the stretching and 2) a slow one, taking place in the subsequent part of the experiment.

The first quick phase of stretching exceeds the following stretching in the second slow phase, even if the stretching is carried out for many hours. The biggest elongation of the nerve takes place the first minute of stretching and during this time the 1-st quick phase exceeds the 2-nd slow phase approximately three times.

3. The degree of lengthening of the nerve to a considerable extent depends on the amount of the load used for stretching: when the load is increased the length increases to a great extent in the 1-st quick phase; the extension of the nerve is the greater, the larger the load acting on the nerve during one and the same period of time. However, the dependence between them is not proportional: the extension with small loads is proportionally larger than with big ones.

4. The degree of extension of a nerve during stretching depends also on the duration of stretching. The extension of the nerve is the greater, the longer one and the same load acts.

5. A comparative investigation of the extensibility of a nerve in different solutions: physiological, Ringer's and Ringer's + glucosa, did not give any perceptible difference in the extent of elongation under one and the same weight.

6. A supply of oxygen has no influence at all on the degree of extension of a nerve during stretching.

The extension of a nerve under the action of a weight is in the main a phenomenon of a physical order and evidently does not depend on the physiological processes taking place in the nerve.

7. The shortening of the nerve after the removal of the load is also composed of two characteristic phases: 1. A quick one, occurring during the first 1—2 seconds after removing the weight and 2. a slow one, occurring subsequently during the experiment. The shortening of the nerve, taking place during the 1-st quick phase, exceeds the subsequent shortening taking place during many minutes and even hours. Thus, by observation in the first minute of shortening, the 1-st quick phase exceeds the second slow phase in its shortening 2—3 times.

8. Under the action of small weights (2—12 g), and when the stretching of the nerve is not prolonged, the latter shows complete elasticity, i. e. the nerve returns to its initial length.

With average and big loads the nerve does not return completely to its initial length; in the usual conditions of the experiment there remains a plastic elongation from 1,5 to 8,5% which does not pass off.

9. The size of the weight has an influence on the first phase of the subsequent shortening of the nerve, after the removal of the weight.

The bigger the weight causing stretching of the nerve, the greater the shortening observed immediately on removing the weight.

10. The size of the weight causing elongation has an influence also on the amount of the remaining elongation. The remaining elongation of the nerve after the removal of the load is the greater, the greater the load acting on the nerve during one and the same prolonged stretching.

11. The investigation of the shortening of the nerve, after the removal of the weight, in different solutions, showed a slight lowering of the remaining elongation (1—2%) in solutions of Ringer + glucose and of Ringer compared with the data received when working with physiological solution.

12. Experiments connected with research on the influence of oxygen on the degree of shortening of the nerve, after its stretching, gave the following results:

a) When there was a regular supply of oxygen, living nerves, extended by average sized weights, always returned to their original length, after the removal of the weights. The shortening of a nerve is accelerated by oxygen, the nerve returning to its initial length more quickly. This speeding up of the shortening takes place wholly in the second phase.

b) With a similar supply of oxygen dead nerves, when stretched by those same weights, did not return to their initial length.

სტალინი
განკურთხევა

ლ. კალანდიაძე

საქართველოში მავნე მწერების საწინააღმდეგო ბრძოლაში მზის რადიაციის გამოყენების შესავლის მასალები *

სამამულო ომის პირობებში მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენებას ბევრი დაბრკოლება ელოდება წინ და ეს პირველ რიგში შეიძლება ითქვას დეფიციტური ინსექტიციდების შესახებ. ამის გამო ან უნდა გამოიხატოს იქნეს არადეფიციტური, ადგილობრივი წარმოშობის ინსექტიციდები ან კიდევ შერჩეულ და გამოცდილ იქნეს ბრძოლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ფიზიკურ-მექანიკური, ბიოლოგიური, კულტურულ-სამეურნეო (აგროტექნიკური) მეთოდები, რომლებიც მავნე მწერების ცალკე სახეობათა წინააღმდეგ საომარ მდგომარეობაშიც შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული და შედარებით მცირე ხარჯებს მოითხოვენ. მწერების წინააღმდეგ ბრძოლის სწორედ ასეთ საშუალებას ეკუთვნის იზის რადიაციის გამოყენება, ე. ი. მზის სხივებით განათების საშუალებით მავნე მწერების მოსპობა.

ცნობილია, რომ მწერები ეკუთვნაან პოიკილოთერმიულ ცხოველებს: მათი სხეულის ტემპერატურა დასვენებულ მდგომარეობაში დაახლოვებით შეეფერება გარემოს ტემპერატურას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწერებს შეუძლიათ სხეულის ტემპერატურის ხელოვნურად რეგულირებაც (ფუთკრები, მოზამთრე მწერები და სხვ.). ამას გარდა მათი სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია აგრეთვე კუნთების მოქმედებისაგან (მოძრაობა იწვევს სხეულის ტემპერატურის აწევას შედარებით გარემოს ტემპერატურასთან), ტენიანობისაგან (ღარი ტენიანობის დროს დასვენებულ მდგომარეობაში მწერის ტემპერატურა ოდნავ მეტია გარემოს ტემპერატურაზე, მცირე ტენიანობის დროს კი — პირიქით), ინტენსიური კვებისაგან (ტემპერატურა მატულობს კვების ინტენსივობასთან ერთად) და სხვ. დამტკიცებულია ისიც, რომ დაბალი ტემპერატურის დროს მწერის სხეულის ტემპერატურა ოდნავ მეტია გარემოს ტემპერატურაზე, მასში ძიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგად (უიგლსუორსი 21), ან კიდევ საწინააღმდეგო

* მოხსენებულია სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე მიძღვნ. უნივერ. არსებობის 25 წლის თავისადმი, 23. IV. 1943 წ.

სხეულის მიერ შთანთქმულები, იძლევიან სითბოს. ამავე დროს ინფორმაციული და წითელი სხივები იძლევიან ენერჯის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე ხილვადი და ულტრაიისფერი სხივები. მაგრამ ულტრაიისფერი სხივები უფრო ძლიერ ფოტოქიმიურ გავლენას ახდენენ და განსაკუთრებით დიდი ბიოლოგიური ეფექტის გამოწვევები არიან, ვიდრე სხვა სახის სხივები.

სხივადი ენერჯის ადგილობრივი მოქმედება ცხოველის ორგანიზმზე პირველ რიგში გამოიხატება მის კანზე მოქმედებაში, რასაც მოსდევს კანის გაწითლება. პირველ ხანში ეს გაწითლება გამოწვეულია გრძელტალღიანი სხივებით, შემდეგ კი იწყებენ მოქმედებას ულტრაიისფერი სხივები. სხივადი ენერჯის დიდი ხნით მოქმედების გამო შესაძლებელია კანის შეშუპება, ბუშტუკების წარმოშობა და კანის ნეკროზიც კი (სკოროხოდკო, 12).

მზის რადიაციის უყოფითი მოქმედება ცხოველებზე გამოიხატება მზის დაკრახიც, რაც გამოწვეულია ტენის ქსოვილის 40—41°-ით გათბობით სხეულის ნომალური ტემპოატურის დროს და რაც ზოგჯერ სიკვდილითაც მთავრდება.

მაგრამ სხივადი ენერჯია ნორმალური რაოდენობით, როგორც წესი, უფრო დადებით როლსაც თამაშობს ცხოველების მიმართ. ეს როლი გამოიხატება სისხლის ფოტოაქტივობის, ერთროციტების რაოდენობისა და ჰემოგლობინის შემადგენლობის გადიდებაში, გაზების ცვლის აწევაში და აზოტური ცვლის გაძლიერებაში; კერძოდ ულტრაიისფერი სხივები კი აძლიერებენ მინერალურ ცვლას, უწყობენ ხელს ანტიოქსიდატიური ვიტამინის დ წარმოშობას და ა. შ. (სკოროხოდკო, 12).

მზის რადიაცია ფართოდ გამოყენებულია მედიცინაში. ასე, მაგალითად, მზის რადიაციით მკურნალობენ მგლურა დაავადებას, ძვლისა და ყელის ტუბერკულოზს, ფილტვების ტუბერკულოზს დასაწყისის სტადიაში, შეუხორკბელ კოილობებს და სხვ. საერთოდ მზის რადიაციის გამოყენება ფართოდ არის ცნობილი „ჰელიოთერაპიის“ სახელწოდებით (5, 6, 7, 10, 11).

ამგვარად, მზის რადიაციის დიდი მნიშვნელობა აქვს პათოგენურ მიკროორგანიზმებთან ბრძოლის საქმეში. განსაკუთრებით მზის კონცენტრული სხივები სწრაფად ღუპავენ ბაქტერიებს და მზის რადიაციის ეს ბაქტერიციდული მოქმედება მაქსიმუმს აღწევს ულტრაიისფერი, შემდეგ იისფერი და ლურჯი სხივების დროს.

მზის ენერჯია გამოყენებულია სითბოს ენერჯის მისაღებადაც, რომელიც საჭიროების დროს შეიძლება გადაქცეულ იქნეს მექანიკურ ენერჯიად. შესაძლებელია აგრეთვე მზის ენერჯია ტრანსფორმირებულ იქნეს უშუალოდ ელექტროენერჯიასა (ფოტოდენები ფოტოელემენტების გამოყენებით) და ქიმიურ ენერჯიაში. მაგრამ მზის რადიაციის გამოყენების უკანასკნელი ორი გზა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა, პირველი გზა კი პრაქტიკულად გამოყენებულია და ამ მიმართებით შესაფერისი მიღწევებიც გვაქვს (ტოფიმოვი, 15). მაგალითად, შუა აზიაში უკვე იყენებენ მზის წყლის გასათბობებს („მზის ქვაბები“) აბანოებისა, სამრეცხაოებისა და საცხოვრებელი ბინებისათვის წყლის გასათბობად, ხილის გასახმობებს (ჰელიოსახმობები), აბრეშუმის პარკებში ქუბრების გამოსახრო-

ბებსა და პარკის გასახმოებებს, სათბურებისა და ორანჟერიების გასათბობებს (ჰელიოსათბურები), მარილიანი წყლის გასამტკნარებებს, გოგირდოვან მადანი-დან გოგირდის ჰელიოგამოსადნობებს და სხვ.

მწერებზე მზის მოქმედების შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოიპოვება. ლოზინა-ლოზინსკი (9) აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მწერების კვერცხები (მაგ., ბამბის კოლოფის ჭიისა) დადებული ქალაღზე, მარლაზე, ნიადაგის ზედაპირზე და სხვ., მალე ილუპებიან მზის სხივების ზემოქმედების შედეგად და მოსალოდნელია აგრეთვე მწერების მატლების დაღუპვაც მზის სხივების მოქმედების გამო მათი სხეულის ძლიერი გათბობით ($35-50^{\circ}\text{C}$). მაგრამ ფაქტიურად ბუნებრივ პირობებში, აღნიშნავს ლოზინა-ლოზინსკი (9), ამას ადგილი არა აქვს იმიტომ, რომ მწერების კვერცხები იღუბა მცენარეებზე და ისინი მცენარის ტემპერატურას ღებულობენ, მათი მატლები კი, განსაკუთრებით სიცხიან ღლებში, ხარბად იკვებებიან და ამით ახდენენ სხეულის ტემპერატურის დაცემას (საკვებთან ერთად ღებულობენ $70-80\%$ -ით წყალს, რომლის აორთქლება სწევს მწერის სხეულის ტემპერატურას).

რაც შეეხება მზის რადიაციის გამოყენებას აბრეშუმის პარკში ჭუპრის გამოსახარობად, რაზედაც ზევით ვეჭონდა ლაპარაკი, ე. ი. მზის სხივადი ენერჯიის ჭუპრზე მოქმედებას, ჩვენ ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ რა ტემპერატურა იწვევდა მის დაღუპვას ან რა ხნის განმავლობაში. კ. ტროფიმოვის ნაშრომიდან (15, 17 და სხვ.) აშკარაა მხოლოდ ის, რომ პარკებში ჭუპრები 100% -ით იხოცებოდნენ. კ. ტროფიმოვის სისტემის ეს დანადგარი, რომელიც ჭუპრის გამოსახარობასთან ერთად პარკსაც ახმობს, უკვე წარმოებაშია გამოყენებული (მაგ., ბუხარის რაიონში). ცნობილია, რომ მადულარი წყლის ორთქლით აბრეშუმის პარკში ჭუპრის გამოსახარობას და შემდეგ პარკის გახმობას სჭირია რამდენიმე ათეული ღლე (საშუალოდ 2,5—4 თვემდე), ჰელიოსახარობი და პარკის სახმობი ამ პროცესს მნიშვნელოვნად ამცირებს და ამავე დროს საწვავის დიდ ეკონომიას იძლევა (ტროფიმოვი, 17).

კერძოდ, მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლაში მზის რადიაციის გამოყენების შესახებ დაწერილ სახელმძღვანელოებში (8, 23, 24 და სხვ.) და ცალკე ნაშრომებში, განსაკუთრებით კი აღამიანისა და შინაურ ცხოველთა პარაზიტების მიმართ აღნიშნულია, რომ ეს ღონისძიება ძლიერ კარგ შედეგებს იძლევა, მაგრამ ამ მიმართებით დეტალურ ცნობებს თითქმის არც ერთი ავტორი არ იძლევა. მაგალითად, ლ. ბ. ლევინსონი (8) ამ საკითხის შესახებ მხოლოდ შემდეგი გამოთქვით კმაყოფილდება: „ცხელ ჰავაში მწერების მოსასპობად შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს მზე. მზის სხივების პირდაპირი მოქმედებით მალე ილუპებიან არა მარტო ზრდადამთავრებული მწერები, არამედ მათი კვერცხებიც, მხოლოდ აუცილებელი პირობის დაცვით — გაენათოთ დასამუშავებელი საგანი ყოველი მხრიდან“ (გვ. 127).

1937—38 წლის განმავლობაში დოც. მ. ჰელიძემ (ბერიას სახელობის საქ. სახ. სას. სამ. ინსტ. ენტომოლოგიის და ზოოლოგიის კათედრა) ჩატარებული ცდები მზის რადიაციის გამოყენების მიზნით სიმინდის ჩრჩილზე (Sitotroga

cerealella) და კარგი შედეგები მიიღო, როცა ტემპერატურა მზეზე 40—45°-მდე აღწევდა და ექსპოზიცია 2 საათს უდრიდა (22), მაგრამ სამწუხაროდ ეს ცდები ძლიერ მცირერიცხოვანია, თანაც გამოცდილია მხოლოდ ერთი ექსპოზიცია და, რაც მთავარია, ეს ცდები მიმდინარეობდნენ შეზღუდვებისაზე, როცა 40—45° ტემპერატურა მზეზე ჩვენი ძლიერ იშვიათი მოვლენაა. ამ ცდებით არ არის გადაწყვეტილი აგრეთვე საკითხი, ფიცრებზე ან მიწაზე დაყრილი სიმინდის თუ რასილარებზე წყდება მზის სხივების დამღუპველი მოქმედება მავნებლებზე და ა. შ. ამავე დროს ამ ცდების ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ისინი სრულიად არ არის ჩატარებული ბუნებრივ პირობებში, და საეჭვოა, რომ მათ კარგი შედეგები მოგვცენ შემოდგომაზე, როცა მზის მცირე სიმაღლეზე ყოფნის გამო მისი რადიაციის ინტენსივობა ძლიერ ეცემა.

2. მეთოდოლოგია

მზის რადიაციის მოქმედება ძირითადად გამოცდილი იყო ტროგოდერმას (*Trogoderma nigrum* Hbst.) წინააღმდეგ. ეს მავნებელი საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული და ბევრ შემთხვევაში დიდი ზიანიც მოაქვს. ჩვენი გამოკვლევებით ის განსაკუთრებით ძლიერ აზიანებს აბრეშუმის პარკს. ტროგოდერმას მატლები ანადგურებენ თუთის აბრეშუმისკვის პეპლებსა და კვერცხებსაც. ისინი იკვებებიან აგრეთვე პურეული მარცვლეულებით, პარკოსნებით, თხილით, პურის პროდუქტებით, შაქრით, კონფეტებით და სხვ. მათ დიდი ზიანი მოაქვთ მწერების კოლექციებისა და ცხოველების განადგურებითაც და ა. შ.

შედეგად ტროგოდერმის ბიოლოგია-ეკოლოგიის შესწავლისა, რომელიც მიმდინარეობდა 1940—1941 წლ. განმავლობაში, მიღებული მონაცემებისა და სპეციალური ცდებისა და დავიზრებების ჩატარების საფუძველზე დამუშავებული იყო ტროგოდერმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი (4). ამ ღონისძიებების დადგენის დროს პირვილად წამოიჭრა საკითხი გამოყენებული ყოფილიყო მზის რადიაცია, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება.

ამ საკითხის დასამუშავებლად ტროგოდერმას კვერცხები, სხვადასხვა ხნოვანების მატლები, ჭებრები და ზრდადამთავრებული ფორმები ცალ-ცალკე (რამდენიმე ათეული ეკვმბლარი თითო ცდაში) თავსდებოდა ბიუქსებში და ფანჯრის გარეთ იფინებოდა მზეზე დღის 1—3 საათზე, რისთვისაც ყოველთვის შერჩეული იყო ძლიერ მზიანი და უქარო დღეები. ეს ცდები ძირითად დ მიმდინარეობდნენ 1942 წლის ივლისში და აგვისტოს პირველ ნახევარში, ნაწილობრივ კი მარტის ბოლოს და აპრილში. ამ სახით დაყენებული ცდები მზეზე გადგმული რჩებოდნენ 2—40 წუთამდე და ზოგჯერ მეტი დროც. ამასთანავე ამ ხნის განმავლობაში ცდების ყოველი სერიისათვის სისტემატურად იზომებოდა ჰაერის ტემპერატურა მზეზე. ცდის დამთავრების შემდეგ მაშინვე მოწმდებოდა დაიღუპა თუ არა მავნებელი, და ამას გარდა ის ინახებოდა ცალკე ჭურჭელში კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში, და მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეულ ჰტადიაში მავნებელი საბოლოოდ დაიღუპებოდა ან ნორმალურ ცხოვრებას განაგრძობდა, ცდები დამთავრებულად ითვლებოდა.

ასეთი წესით ჩატარებული ცდების შედეგები შემდეგ შემოწმებული იყო ბუნებრივ პირობებში (ნახევრად წარმოების პირობებში), რისთვისაც გამოყენებული იყო ენტომოლოგიური ყუთები, როგორც ზევდან მინის ხუფით დახურული, ისე მთლიანად მუყაოსგან შემდგარი. აქ ტროგოდერმის მატლები თავსდებოდა გამხმარ მწერებში, აბრეშუმის პარკის შიგნით და სხვ. იმის დასადგენად, ილუპებიან თუ არა მატლები ჩრდილში, ისინი თავსდებოდნენ მთლიანად მუყაოსგან შემდგარ დახურულ ყუთებში, შესადარებლად კი გამოყენებულ იყო იმავე ტიპის მხოლოდ სახურავ-ახილი ყუთები ან ზევდან მინით დახურული. ამ შემთხვევაშიც ცდების შედეგების აღრიცხვა წარმოებდა იმავე წესით, როგორც ბიუქსების გამოყენების დროს.

რადგანაც ტროგოდერმაზე სხივადი ენერგიის მოქმედების დროს მნიშვნელობა აქვს მისი განვითარების ცალკე სტადიების მიერ მალალ ტემპერატურების ატანის უნარს (ლეტალური ტემპერატურები). ამიტომ გამოყენებული იყო ჩვენ მიერ ამ ძავენბლის ეკოლოგიის შესწავლის შედეგად მიღებული შესაფერისი მონაცემები ((დები ჩატარებული იყო თერმოსტატებში მუდმივ ტემპერატურებზე: 0—31°, 33—35°, 37—38°, 45—50°).

ამ ცდების პარალელურად ჩვენი ხელმძღვანელობით ასპ. ქოიავა აწარმოებდა სრულიად იმავე ხასიათის ცდებს მუხეუმის ხოჭოზე (*Anthrenus verbasci* L.), და ამ გზით მიღებული მასალები გამოყენებულ იყო ტროგოდერმაზე ჩატარებული ცდების შედეგებთან შესადარებლად და აგრეთვე იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად გამოსაყენებელია მზის რადიაცია ტროგოდერმის გარდა სხვა მავნებლების წინააღმდეგ და პირველ რიგში მის მონათესავე სახეობის საწინააღმდეგოდ.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ცდების მიმდინარეობის დროს იზომებოდა ჰაერის ტემპერატურა მზეზე, მაგრამ ამ მონაცემების გარდა გამოყენებული იყო თბილისის გეოფიზიკური ინსტიტუტის აქტინომეტრიის განყოფილების მიერ შეგროვილი აქტინოგრაფის ჩანაწერები 1942 წლისათვის და მზის პირდაპირი რადიაციის დამატებლობის მთელი რიგი წლების საშუალო თვიური მონაცემები, გამოსახული მცირე კალორიებში მზის სხივებისადმი პერპენდიკულარულ და პორიზონტალურ ზედაპირების მიმართ (1 კვ. სმ. 1 წუთში), რისთვისაც მადლობას ვუცხადებთ აღნიშნული განყოფილების უფროსს ი. ცუცქირიძეს. მადლობის ღირსია აგრეთვე შ. გავააშელი, რომელმაც მოგვაწოდა ნიადაგის ზედაპირიდან 2 სმ. სიმაღლეზე ჰაერის ტემპერატურების განაზომები მზეზე. აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას ვუცხადებთ სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრის ლაბორანტებს, პირველ რიგში ვ. მუნჯიშვილსა და შემდეგ ნ. ბაინდურაშვილს, რომლებმაც დახმარება გაამწიეს ცდების დაყენებისა და გეოფიზიკური ინსტიტუტიდან მიღებული მასალების დამუშავებაში.

გ. ლაზოკრატიონულ ცდების შედეგები

იმის დასადგენად, მოქმედებს თუ არა მზის სხივადი ენერგია ტროპოდერმის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე და, თუ მოქმედებს, — ჰაერის რა ტემპერატურისა (მზეზე) და მზის რადიაციის როგორი დაძაბულობის დროს, ამ მანვანების კვერცხები, მატლები, ჭურბები და ზრდადამთავრებული ფორმები მოთავსებული იყო ცალ-ცალკე ბიუქსებში, ითხო ცდაში 20—30 ცალი, და დადგმული იყო მზეზე 2—40 წუთის განმავლობაში. ჰაერის ტემპერატურა მზეზე მერყეობდა 40—44°C, მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობის მონაცემები გამოსახულ მცირე კალორიებში მზის სხივებისადმი პერპენდიკულარულ და ჰორიზონტალურ ზედაპირის თითოეულ კვ. მმ. წუთში აღნუსხულია ქვემოთ მოყვანილ ტაბულაში (იხ. ტაბ. 1).

ცდების შედეგები, რომლებიც ირიცხებოდა ჩვენ მიერ უკვე ზევით აღნიშნული წესით, შეჯამებული მასალების სახით მოცემულია იმავე ტაბულაში (იხ. ტაბ. 1).

ტაბულა 1

ტროპოდერმის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე ჩატარებული ცდების შედეგები (ლაზოკრატი. პირობ.)

№№ რიგზე	განვითარების სტადიები	თარიღი	ტემპერატურა ცდაში 13-15 საათ	ჰაერის ტემპერ. მზეზე 2 მ. სიმაღლეზე ლენგულის 3 ს.ზე	მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობა პერპენდ. ზედ პირზე 12-13 ს.	მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობა ჰორიზონტ. ზედ 12-13 ს.	რამდენ ხანში დაიღუპა ყველა?	ცოცხლოდ დაჩენ. %
1	კვერცხები	29. VI	42°	41,8°	1,30	1,23	20 წ.	—
2	I ხნოვ მატლები . .	14. VII	41—43°	60°	1,35	1,26	2 „	—
3	II ხნოვ. მატლები . .	„	41—43°	60°	1,35	1,26	8 „	—
4	III ხნოვ. მატლები .	15. VII	40—43°	61,7°	1,40	1,31	10 „	—
5	ჭურბები	19. VIII	41—44°	41°	1,05	0,93	4 „	—
6	ზრდასრული ფორმები	„	41—44°	41°	1,05	0,93	4 „	—

ტაბულიდან ჩანს, რომ მზის სხივადი ენერგიის მოქმედების შედეგად, როცა ჰაერის ტემპერატურა ცდებში უდრის 40—44°, 2 სმ. სიმაღლეზე ნიადაგის ზედაპირიდან, მზეზე კი 41—41,8°C, ზოგჯერ კი 61,7°C, მზის რადიაციის დაძაბულობა პერპენდიკულარულ ზედაპირზე აღწევდა 1,05—1,40 მც. კალორიას, ჰორიზონტალურ ზედაპირზე კი 0,93—1,31 მც. კალორიას, ტროპოდერმის განვითარების ყველა სტადიები იღუპება 2—20 წუთის განმავლობაში. ამ შემთხვევაში შედარებით უფრო ნაზი აღმოჩნდა პირველი ხნოვანობის მატლები, როცა ის იღუპებოდა 2 წუთის განმავლობაში იმ დროს, როცა უფრო მეტი ხნოვანობის მატლები, ჭურბები, ზრდასრული ფორმები და განსაკუთრებით კვერცხებიც შედარებით მეტ ხანს (20 წუთს) უძლებდნენ მზის რადიაცი-

ციის მოქმედებას. ეს მოვლენა გასაგებია, რადგანაც ტროგოდერმის პირველ-
ხნოვანობის მატლის ლეტალური ტემპერატურა, როგორც თერმოსტატებში ჩვენს
შიერ დაყენებულმა ცდებმა აჩვენეს, უდროს დაახლოებით 40—42° C (ილუპე-
ბიან 3—5 დღეში), უფრო ხნიერი მატლებისა 45—50° C (ილუპებიან 3 დღეში).
კვერცხების ლეტალური ტემპერატურა კი, როგორც გამოირკვა, ალბათ 50°-ზე
მეტია იმიტომ, რომ 45—50° C დროს თერმოსტატში 50 კვერცხიდან 16 მატლი
მაინც გამოიჩიკა მესამე დღეს.

მუზეუმის ხოჭოებზე (*Anthrenus verbasci*) დაყენებულმა ცდებმაც დაახ-
ლოებით იგივე შედეგები მოგვცა. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ გამოცდილი-
არ ყოფილა ჭუჭრები და ზრდასრული ფორმები. ამ ცდების შედეგები მოცე-
მულია ტაბ. 2 (იხ. ტაბ. 2).

ტაბულა 2


მუზეუმის ხოჭოს კვერცხებსა და მატლებზე ჩატარებული ცდების შედეგები
(ლაბორატ. პირობებში)

პირი რიცხვი	განვითარების სტადიები	თარიღი	ტემპერატურა ცდში 13-15 სათ.	ჰაერის ტემპერატურა მზეზე 2 მმ. სიმაღლეზე ღობი 13 ს. ჩი	მზის პიკი რადიაციის დაძაბულობა პერპენდიკულარულ ზედაპირზე 12—13 სათ	მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობა ჰორიზ. ჰორიზ. ზედაპ. ზედა. 12—13 ს.	რამდენ ხანში დაიბოკა ყველა?	ცოცხალად დარჩენ %
1	კვერცხები	18. VI	40°—43°	43,6°	1,30	1,23	4 წ.	—
2	მატლები (1 ხნოვან.)	17. VI	45°	41,4°	1,28	1,21	2 წ.	—

ტაბულიდან აშკარაა, რომ ჰაერის ტემპერატურისა და მზის რადიაციის-
დაძაბულობის დაახლოებით იმავე პირობებში, როგორც ტროგოდერმაზე ცდებ-
ბის დროს, მუზეუმის ხოჭოს კვერცხები და მატლები ილუპებიან 2—4 წუთის
განმავლობაში, და ამ შემთხვევაშიც ზემოაღნიშნული მიზეზების გამო შედარე-
ბით უფრო ჩქარა ილუპებიან მატლები, ვიდრე კვერცხები. რაც შეეხება ამ
მაგნებლის კვერცხების უფრო ჩქარა დალუპებას, ვიდრე ტროგოდერმისა, ეს
აიხსნება ალბათ პირველების შედარებით უფრო მეტი სინანით.

ამგვარად, ამ ორ მაგნებელზე ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული
ცდების შედეგადაც შეიძლება დავსკვნათ, რომ ზაფხულში მზის პირდა-
პირი რადიაციის მოქმედების შედეგად სრულიად სრულიად მარტივ
პირობებში შეიძლება ათეული წუთის განმავლობაში მივი-
ღოთ მათი ყველა სტადიების დახოცვა.


მაგრამ ამასთანავე ზემოაღნიშნული ცდების შედეგები შესაძლებლობას
იძლევიან გამოვარკვიოთ მზის რადიაციის მოქმედების ხასიათი. ამისათვის საჭი-
როა შევადაროთ პირველ ტაბულაში მოყვანილი მონაცემები თერმოსტატებში
ჩატარებული ცდების იმ მაღალ ტემპერატურების მოქმედების შედეგებს, როცა
ადგილი ჰქონდა ტრიგოდერმის ცალკე სტადიების დახოცვას (მუზეუმის ხოჭოზე
ასეთი ცდები ჩატარებული არ ყოფილა (კალანდაძე, 3) — იხ. ტაბ. 3.



ტერმოლოგის განვითარების ხტადიებზე მზის სხივადი ენერჯიისა და მაღალი ტემპერატურების მოქმედების შედეგები

№№ რიგზე	ცდების დაყენების ხასიათი	კვერცხები			1-ლ ხნოვ. მატლები			დიდი ხნოვ. მატლ.		
		ტემპერ.	დახოც. %	ექსპ.	ტემპერ.	დახოც. %	ექსპ.	ტემპერ.	დახოც. %	ექსპ.
1	მაღალი ტემპერ. თერმოსტატში	45—50°	68	3 დღე	40—42°	100	3—5 დღე	45—50°	100	3 დღე
2	მზის რადიაციის მოქმედება	42°	100	20 წ.	41—43°	100	2 წ.	40—43°	100	8—10 წუთი

ამ ტაბულიდან აშკარაა ის, რომ მზის რადიაციის მოქმედება არ გამოიხატება მწერის ორგანიზმის ირგვლივ ჰაერის ტემპერატურის მარტო აწვევაში (იხ. ზემოთ გვ. 74 და 75). ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მისი კვერცხები და მატლები მზის სხივადი ენერჯიის მოქმედების გამო გაცილებით უფრო ვეიან და ზოგჯერ უფრო მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით უნდა დახოცილიყვნენ, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი სინამდვილეში. განსაკუთრებით ეს ხაზგასტულია კვერცხების შემთხვევაში, როცა თერმოსტატებში კვერცხები ილუპებოდნენ 45—50° დროს მხოლოდ 63%-ით და ისიც სამი დღის განმავლობაში, იმ დროს როდესაც მზის რადიაციის მოქმედების დროს ჰაერის ტემპერატურა ცდაში უდრიდა 42° და, მიუხედავად ამისა, კვერცხები დაილუპნენ 100%-ით 20 წუთის განმავლობაში. მატლების შემთხვევაში ასეთ დიდ განსხვავებას ადგილი არა აქვს, მაგრამ ადვილად შესამჩნევია ის, რომ ჰაერს დაახლოვებით ერთი და იმავე ტემპერატურის დროს მზის სხივების მოქმედების შედეგად მატლები გაცილებით უფრო ჩქარა იხოცებოდნენ, ვიდრე თერმოსტატებში მაღალი ტემპერატურების მოქმედების შედეგად. ეს გარემოებები გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ მზის რადიაციის მოქმედება მევენებლებზე გამოიხატება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არა მარტო მის ირგვლივ არსებული ჰაერის ტემპერატურის აწვევაში, არამედ ამას გარდა კიდევ მის ორგანიზმზე ქიმიურ მოქმედებაში, ე. ი. აქ ადგილი აქვს მზის სხივადი ენერჯიის მოქმედების შედეგად მწერის ორგანიზმში ფოტობიოლოგიურ პროცესს, რაც გამოიხატება ძირითადად მწერის სხეულის მიერ შთანთქმული სხივებისაგან სითბოს გამოყოფაში, რაც შესაფერ მოვლენებს იწვევს მასში (იხ. ზემოთ, გვ. 76).



4. ცდების შედეგები პუნვაჩივ პირობებში

იმ მიზნით, რომ დამუშავებული ყოფილიყო პრაქტიკისათვის გამოსაყენებელი ღონისძიებანი, როგორც ზევით იყო აღნიშნული (იხ. მეთოდისა), ტროგოდერმის მატლები¹ მოთავსებული იყო ხან თავახდისა და ხან დახურულს, მიწის ხუფიან ან მოლიანად მუყაოსაგან გაკეთებულ ენტომოლოგიურ ყუთებში. ამავე დროს ყველა ცდებში მატლები მოთავსებული იყო შედარებით პატარა სიდიდის გამხმარ მწერებაში ან ზოგ შემთხვევებში (ცალკე ცდებში) აბრეშუმის პარკებში. ამ ცდების შედეგები მოცემულია ტაბ. 4 (იხ. ტაბ. 4).

ტაბულა 4

ტროგოდერმის ხანადახვა ზნოვანობის მატლებზე ჩატარებული ცდების შედეგები (ბუნებრივ პირობებში)

№ ცდები	ცდების ხასიათი	თარიღი	ტემპერატურა ცდებში 13—15 საათ.	ჰაერის ტემპერატურა მზეზე 2 სმ. სიმაღლეზე 13 საათ.	მზის პირდაპ. რადიაციის დაძაბულობა პერპენდიკულ. ზედაპირზე 12—13 საათ.	მზის პირდაპ. რადიაციის დაძაბულობა ჰორიზონტ. ზედაპირზე 12—13 საათ.	რამდენ ხანში დაიხოცა მწელა?	ცოცხლად დარჩენ. %
1	მიწის ხუფიანი ღია ყუთი	22. VII	42—45°	59,4°	1.30	1.22	20 წ.	—
2	მიწის ხუფიანი დახურული ყუთი	23. VII	44°	64,7°	1.30	1.22	8-10 წ.	—
3	მუყაოს ღია ყუთი	23. VII	45°	64,7°	1.30	1.22	20 წ.	—
4	მუყაოს დახურული ყუთი	22. VII	42—45°	59,4°	1.30	1.22	—	100
5	მუყაოს ღია ყუთი (მატლები აბრეშ. პარკში)	12. VIII	40—41°	42,7°	1.03	0,96	35-40 წ.	—

ტაბულის მონაცემების მიხედვით პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც მზის სხივადი ენერჯიის მოქმედების შედეგად ტროგოდერმის მატლები, როცა მზის სხივები აღწევენ მათ ან იმ ობიექტს, რომელშიც ისინი იყვნენ შემალულნი, შედარებით ჩქარა იხოცებოდნენ, 8—40 წუთის განმავლობაში, როცა ტემპერატურა ცდებში უდრიდა 40—45°, ჰაერის ტემპერატურა მზეზე აღწევდა 42,7—64,7°, მზის რადიაციის დაძაბულობა კი პერპენდიკულარული ზედაპირისათვის გამოიხატებოდა 1,08—1,30 და ჰორიზონტალურ ზედაპირისათვის 0,96—1,22 მც. კალორიაში. გამოდის, რომ მოქმედების ხანგრძლივობის ეს შედეგები ძალიან მცირედ განსხვავდებიან ლაბორატორიული ცდების

¹ ცდებისათვის მარტო მატლები გამოყენებული იყო იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ამ მავნებლის განვითარების ყველაზე უფრო მოძრავ სტადიას. ამის გამო მიღებული შედეგები. თუ მხედველობაში იქნება მიღებული ლაბორატორიული ცდების შედეგები, სრულიად გამოსაყენი იქნებიან სოკოებისათვის და მით უფრო კუპრისა და კვერცხებისათვის.

შედგებისაგან. ამავე დროს ირკვევა ისიც, რომ ტროპოდერმის ხნიერი მატლები, გამხმარ მწერებში მოთავსების მიუხედავად, მაინც იხოცებოდნენ მზის სხივების მოქმედების შედეგად. მხოლოდ მაშინ, როცა ამ სხივების მიღწევა შედარებით უფრო გაძნელებული იყო, მაგალ., აბრეშუმის პარკში მატლების მოთავსების დროს, მათი დახოცვა გვიანდებოდა (ნაცვლად 15—20 წუთისა, პარკში მოთავსებული მატლები იხოცებოდნენ 35—40 წუთში). საპაგიროდ ზოგიერთ მატლებს სრულიად არ იხოცებოდნენ მაშინ, როცა ისინი მოთავსებული იყვნენ მუყაოს დახურულ ყუთში. ე. ი. როცა მზის სხივები მათ სრულიად ვერ აღწევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ყუთის ჰაერის ტემპერატურული პირობები მხოლოდ ერთეული გრადუსებით განსხვავდებოდნენ (ტემპერატურა აქ უფრო მაღალი იყო, იხ. ტაბ. 4), იმ თავსადილ (ლია), მინის ხუფიან ან აგრეთვე თავსადილ (ლია) მუყაოს ყუთების ჰაერის ტემპერატურააგან, რომლებშიც მატლები 100%-ით 20—40 წუთში იხოცებოდნენ. ეს ცდა, რამდენიმეჯერ გამეორებული, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ მზის რადიაცია, როგორც ხვეით აღვნიშნეთ, მწერის ირგვლივ ტემპერატურის აწევასთან ერთად ქიმიურადაც მოქმედებს მწერის ორგანიზმზე და მასში ფოტობიოლოგიურ პროცესს იწვევს (ძირითადად შთანთქმულ სხივების მიერ სითბოს გამოყოფას). როგორც ყუთებში ტემპერატურის გაზომვებმა გვაჩვენეს (იხ. ტაბ. 5), მინის ხუფი იწვევს დახურულ ყუთში ტემპერატურის თითქმის ერთიორად აწევას და ამიტომ მინის ხუფიან დახურულ ყუთში მატლები უფრო ჩქარა იღუპებოდნენ (8—10 წუთში), ვიდრე ლია ყუთებში (20 წუთში) იმ დროს, როდესაც უკანასკნელების ირგვლივ ჰაერის ტემპერატურა მზეზე დაახლოვებით იგივე იყო, როგორც თავდახურულ მინის ხუფიან ყუთების ირგვლივ.

ტაბულა 5

მზის რადიაციის მოქმედება ენტომოლოგიურ ყუთების ტემპერატურაზე სხვადასხვა პირობებში (ცვლები ჩატარებულია გარეთ, ეზოში)

20 მარტი			31 მარტი			10 აპრილი		
მინის ხუფიანი დახ. ყუთი	მინის ხუფიანი ლია ყუთი	მუყაოს დახურ. ყუთი	მინის ხუფიანი დახ. ყუთი	მინის ხუფიანი ლია ყუთი	მუყაოს დახურ. ყუთი	მინის ხუფიანი დახ. ყუთი	მინის ხუფიანი ლია ყუთი	მუყაოს დახ. ყუთი
22°	22°	22°	17°	17°	17°	18°	18°	18°
41°	19°	18°	35°	17°	22°	47°	29°	33°
35°	17°	17°	39°	15°	24°	52°	23°	36°
37°	20°	19°	40°	15°	23°	53°	29°	37°
41°	20°	22°	41°	17°	25°	53°	29°	33°
43°	21°	23°	41°	17°	26°	51°	28°	37°
42°	21°	23°	42°	18°	27°	52°	29°	37°



მუზეუმის ხოჭოს მატლებზე დაყენებულმა ცდებმა დაახლოვებით შედეგები მოგვცა (იხ. ტაბულა 6).

ტაბულა 6

მუზეუმის ხოჭოს პირველ ხნოვანობის მატლებზე ჩატარებული ცდების შედეგები (აუნებრივ პირობებში)

№ რიგზე	კდების დაყენების ხასიათი	თარიღი	ტემპერატურა ცდის 13—15 საათში				მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობა ჰერმენდიკულურ ხელაპირზე	მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობა ჰორიზონტალურ ხელაპირზე	რამდენ ხანში დაიხოცა ყველა?	ცოცხლ. დაჩენილობა %
			45°	46,3°	1,21	1,14				
1	მინის ხუფიანი ყუთი . . .	24. VI	45°	46,3°	1,21	1,14	40—50 წ.	—		
2	მინის ხუფ. ყუთი (მატლები აბრეშუმის პარკში) . . .	24. VI	45°	46,3°	1,21	1,14	15—20 წ.	—		

ამ შემთხვევაშიც, როგორც ტაბულა გვიჩვენებს, მუზეუმის ხოჭოს მატლები იხოცებოდნენ ჰაერის ტემპერატურისა და მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობის დაახლოვებით იმავე პირობებში მოთავსებული, როგორც ტროგოდერმის მატლები, 15—50 წუთის განმავლობაში. ამგვარად, შედარებით მცირე განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ მუზეუმის ხოჭოს მატლები იღუპებოდნენ ცოტა უფრო გვიან, ვიდრე ტროგოდერმის მატლები (იხ. ტაბ. 4). ეს მოვლენაც ლაპარაკობს მზის სხივების ფოტობიოლოგიური მოქმედების სასარგებლოდ: მუზეუმის ხოჭოს მატლები ცდებში ყველა პირველ ხნოვანობისა იყო და ისინი გაცილებით უფრო ადვილად და ღრმად იმალებოდნენ გამხმარ მწერებში და მათ ქვეშ, ვიდრე ტროგოდერმის უფრო ხნიერი მატლები; ამიტომ მზის სხივადი ენერჯია მათზე უფრო გვიან მოქმედებდა. რომ ეს შეეფერება სინამდვილეს, იქიდანაც ჩანს, რომ მუზეუმის ხოჭოს იგივე პირველ ხნოვანობის მატლები, მოთავსებული აბრეშუმის პარკებში (რომლებსაც კედლები უფრო ადვილად უშვებდნენ სხივებს, ვიდრე გამხმარი მწერები), პირიქით, უფრო ადრე იხოცებოდნენ (15—20 წუთში), ვიდრე იმავე პირობებში მოთავსებული ტროგოდერმის ხნიერი მატლები (35—40 წუთში, ტაბულა 4). და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ახალგაზრდა მატლები მზის სხივების მოქმედებას უფრო კერ უძლებენ, ვიდრე ხნიერი მატლები.

თუ შევაჯამებთ ბუნებრივ პირობებში ჩატარებული ცდების შედეგებს, შეიძლება ხავასმით აღნიშნოს, რომ იმავე დასკვნებს მივიღებთ, როგორც აქას ჰქონდა ადგილი ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ცდების დროს: მზის პირდაპირი რადიაციის გამოყენებით შეიძლება ამ ორი მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით ჩატარება შედარებით მოკლე დროში და მაშინაც კი, როცა მავნებელი

შემალული იქნება პატარა გამხმარ მწერებში ან აბრეშუმის პარკებში. სამწუხაროდ, არ არის მხოლოდ გამორკვეული, თუ არა მისი ფენად უნდა იქნეს გაყრილი აბრეშუმის პარკი, რომ მზის სხივებმა იმოქმედონ მასში დამალულ მატლებზე, და იმოქმედებს თუ არა პარკის მზის სხივებით განათება მის ხარისხზე. გამორკვეული არ არის აგრეთვე ისიც, თუ მზეზე ჰაერის რა ტემპერატურის დროს და მზის პირდაპირი რადიაციის რა დაძაბულობის დროს იწყება და წყდება მავნებლის დაზოცვა.

მიუხედავად ამისა, მზის პირდაპირი რადიაციის საშუალებით ტროპიკულ რაიონებსა და მუზეუმის ხოჭოსთან ბრძოლა მწერების (საერთოდ ფენსახსრიანთა) კოლექციების და პატარა ცხოველების დოკუმენტების დეზინსექციის დროს შეიძლება მარტივ შემთხვევებში ტექნიკურად ასე ჩატარდეს: მიზანშეწონილია მავნებლით მოდებული კოლექციები მოთავსებული იყოს მინის ხუფიან ენტომოლოგიურ ყუთებში და უკანასკნელები მჭიდროდ დახურვის შემდეგ (მავნებელი რომ არ გაიფანტოს) დაწყობილი იყოს ცალ-ცალკე მზეზე, რაც შეიძლება უქარო და მზიან დღეს, მაგალითად, ჰაერის ტემპერატურა ამ დროს მზეზე არ უნდა იყოს 40—42° მცირე, მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობა კი პერპენდიკულარულ ზედაპირზე უდრიდეს დაახლოებით მინიმუმ 1,30-ს და ჰორიზონტალურ ზედაპირზე კი — 1,20 მც. კალორიას. ამ მდგომარეობაში ყუთები მზეზე უნდა იქნეს დატოვებული სულ ცოტა 40—60 წუთი. ამავე დროს ყუთების ხუფის მინა ისე უნდა იყოს ჩამოღობილი, რომ მზის სხივები ანათებდნენ ყუთის მთელ შიგნითა ნაწილებს. შესაძლებელია მთლიანად მუყაოსგან ან მერქნისაგან გაკეთებული ყუთების გამოყენებაც, მაგრამ მაშინ მათი სახურავები ისე უნდა იქნეს ახდელი, რომ მზის სხივები ამ შემთხვევაშიც ანათებდნენ ყუთის მთელ შიგნითა ნაწილებს; ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს იმსაც, რომ ამ ყუთებიდან არ ამოცოცდნენ ხოჭოები და მატლები.

უფრო კარგი შედეგების მიღებისა და კოლექციების დეზინსექციის უფრო დიდი მასშტაბით ჩატარების მიზნით მიზანშეწონილი იქნება ტროპიკულ რაიონებსა და მუზეუმის ხოჭოების საწინააღმდეგოდ გამოყენებულ იქნეს კ. ტროფიმოვის მიერ კონსტრუირებული და შუა აზიაში უკვე გამოყენებული აბრეშუმის პარკში ჭურჭლის გამოსახრჩობისმავარი დანადგარები, რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ „ჰელიოდენსექტორებს“. ამ ჰელიოდენსექტორებში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული „ცხელი ყუთის“ პრინციპი. ეს პრინციპი კი იმაში გამოიხატება, რომ მინა კარგად ატარებს შედარებით მოკლე ტალღიან რადიაციას და სრულიად არ ატარებს გრძელ ტალღიანს. ამის გამო მზის სხივები კარგად გადიან მინაში (მცირე რაოდენობით ხდება არეკვლა და შთანთქმა) და შთანთქმის უნარიანი ყუთის შიგნითა ნაწილები ატებიან და თითონ ხდებიან წყაროდ გრძელ-ტალღიანი რადიაციისა (უმთავრესად 5—6 μ და განსხივების სახით), რომელსაც არ ატარებს მინა. ამის შედეგად ყუთში ხდება სითბოს დაგროვება და ტემპერატურის აწევა“ (კალბრტინი 5, გვ. 293). ეს მოვლენა ნათლად გამოხატულია მე-5 ტაბულაში (მინის ხუფით დახ. ყუთი).

მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს ის გარემოება, რომ მწერების კოლექციებისა და ცხოველების დოკუმენტების ამ წესით დეზინსექცია შესაძლებელია მხოლოდ

შენობის გარეშე მზეზე. ამიტომ შენობაში დარჩენილი მავნებლების საწინააღმდეგოდ საჭიროა გამოყენებულ იქნეს დეზინსექციის სხვა საშუალებები. დელობაში გვექონდა მიღებული, როცა ტროგოდერმისა და მუზეუმის ხოქოს განვითარების ყველა სტადიების მიმართ ჩვენ გამოვცადეთ ფლიციდი და კარგო შედეგებიც მივიღეთ (4). ამ მონაცემების მიხედვით შენობის 1 კუბ. მეტრზე საკმარისია 15—20 გრამი ფლიციდის და 2—3 საათის ექსპოზიცია იმისათვის, რომ მოისპოს ტროგოდერმისა და მუზეუმის ხოქოს განვითარების ყველა სტადია, თუ ამ სითხეს შესაფერისი წესების დაცვით შევასხურებთ.

ამგვარად, მწერთა კოლექციებისა და ცხოველთა დოდოჩების მავნე მწერებთან ბრძოლისათვის ჩვენ ვიძლევიტ პრაქტიკისათვის გაცილებით უფრო მისაღებ საშუალებას მზის რადიაციისა და ფლიციდის გამოყენების სახით, ვიდრე ამას აქამდე ჰქონდა ადგილი. ეს გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ იმავე მიზნით გოგირდ-ნახშირბადის, ქლოროპკრინისა და ციანაზით შენობის ფუშიგაცია ჯერ ერთი რომ ძალიან ძვირი ჯდება და შემდეგ კიდევ ამ შხამების პრაქტიკაში გამოყენება ხშირად შეუძლებელი ხდება აღამიანებისა და ცხოველების ადვილად მოშხამვის გამო. ფლიციდი კი ამ მხრივ უვნებელი შხამია (საშიშია მხოლოდ ხანძრის მხრივ) და იმავე დროს ის მზადდება ადგილობრივ (თბილისში), საქ. ჯანმრთ. სახ. კომ. სააფთიაქო სამართველოს მიერ დიდი რაოდენობით და იაფ ფასებშიც (მზადდება სარეველა ბალახ გვირილას ყვავილებისა და ნაფთისაგან).

იმავე წესით შესაძლებელი იყო ამ ორი მავნებელით მოდებული აბრეშუმის პარკის დეზინსექცია, მაგრამ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული საკითხი, თუ რა სისქის ფენად უნდა გაიშალოს პარკი და თანაც როგორ იმოქმედებს მზის სხავები პარკის ხარისხზე.

5. მავნე მწერებთან ბრძოლაში მზის რადიაციის გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

როგორც კალიტინი (5) აღნიშნავს, მზე წარმოადგენს ენერჯის დაუზრეტელ წყაროს. დედამიწის ზედაპირი (სათის განმავლობაში ლებულობს 2×10^{14} საათის ცხ. ძალისა, წელიწადში კი — 2×10^{18} საათის ცხ. ძალისა. იმავე დროს დედამიწის წლიური მოთხოვნა ენერჯიაში დაახლოვებით უდრის 2×10^6 საათის ცხ. ძალისა, ე. ი. მზეს შეუძლია მოგვცეს მილიარდჯერ მეტი ენერჯია, ვიდრე ახლა არის საჭირო (გვ. 292). ამის მიხედვით გასაგებია, რომ მზის რადიაციის გამოყენების პერსპექტივები ძლიერ დიდია და ამ მხრივ მის გამოყენებას დაბრკოლებები არ გადაელობება წინ; საჭიროა მხოლოდ ეს ენერჯია რაციონალურად და დიდი მასშტაბით იქნეს გამოყენებული.

კერძოდ, მავნე მწერებთან ბრძოლაში მზის რადიაციის გამოყენების შესაძლებლობა შემდეგნაირადაც გვაქვს წარმოადგენილი. პირველ რიგში უნდა გამოირკვეს საკითხი, თუ კავშირის რომელ ადგილებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრძოლის ეს მეთოდი. ამ კითხვაზე უკვე პასუხს იძლევა კ. ტროფიმოვი (17), როცა აღნიშნავს, რომ მზის ენერჯის გამოყენება ჩვენი კავშირის სახალხო მეურნეობაში ძირითადად მისაღებია შუა აზიისა, ყირიმისა, კავ-

კასიისა და სამხრეთ უკრაინისათვის, და ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ტაბულიდან (კალიტინის მიხედვით, 5).

ტაბულა 7

მზის რადიაციის სითბოს ჯამები (კალორიებში) პერპენდიკულარულ ზედაპირისათვის ზეზონების მიხედვით და წლის განმავლობაში, და ჰორიზონტალური ზედაპირისათვის წლის განმავლობაში

№ რიგზე	დაკვირვების პუნქტები	დაკვირვების წლების რიცხვი	ხ.მთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა	წლიური		შენიშვნა
							პერპენდიკულარი	ჰორიზონტ. ხედ. პირი	
1	უბე „ტიხია“	1	0	20 100	25 400	400	45 900	—	გამოტოვებული ადგილები აჩვენებს, რომ მონაცემები არ არის
2	ოლუცი	20	4 800	29 900	36 500	11 300	82 500	39 800	
3	სვერდლოვსკი	7	9 200	29 200	37 800	13 500	89 600	—	
4	მოსკოვი	5	6 200	36 100	45 700	15 500	103 500	—	
5	ვარონეჟი	3	6 900	34 000	41 100	21 000	103 000	54 700	
6	ოდესა	4	8 600	33 300	51 900	26 800	120 600	63 000	
7	ფეოდოსია	4	9 500	33 000	52 600	28 000	123 700	71 600	
8	ევპატორია	6	11 000	35 600	57 800	33 600	139 700	79 300	
9	თბილისი	7	16 500	33 200	48 800	22 800	128 300	83 600	
10	ტაშკენტი	10	19 700	42 500	69 800	44 700	176 700	102 700	

ტაბულაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ რადიაციის სითბოს ჯამების მიხედვით პერპენდიკალური ზედაპირისათვის საქართველოს (თბილისი) უკავია შესამე ადგილი, ჰორიზონტალური ზედაპირისათვის კი — მეორე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მანე მწერებთან ბრძოლაში მზის რადიაციის გამოყენებას საქართველოში განსაკუთრებით კარგი პირობები აქვს შექმნილი შუა აზიის შემდეგ.

იმავე ტაბულიდან ნათლად ჩანს, რომ სხივადი ენერჯიის გამოყენება არ შეიძლება მთელი წლის განმავლობაში. იმის გამო, რომ ადრე გაზაფხულსა, ზამთარსა და გვიან შემოდგომაზე მზე დაბლა დგას და ამის გამო რადიაციის ინტენსივობა ძლიერ ეცემა და ამავე დროს ადგილი აქვს დიდ ღრუბლიანობას და ჰაერის ტემპერატურის დაცემას, მიზანშეწონილი იქნება წლის ამ პერიოდებში მზის რადიაციის გამოყენებაზე, კერძოდ მწერების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ მონაცემებს, უარი ვთქვათ. უკანასკნელი დებულების სასარგებლოდ აჩვენებს ტაბულა 8 (იხ. ტაბ. 8).



პერპენდიკულარული და ჰორიზონტალური ზედაპირისათვის მზის პერპენდიკულარული (მრავალი წლები დაკვირვებათა მიხედვით) თბილისისათვის (თბილისის გეო

წილ რიცხვი	თვეები	4-5 ს.		5-6 ს.		6-7 ს.		7-8 ს.		8-9 ს.		9-10 ს.		10-11 ს.	
		ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე
1	მარტი . . .	—	—	—	—	0,05	0,31	0,21	0,80	0,43	1,11	0,67	1,25	0,33	1,31
2	აპრილი . . .	—	—	0,03	0,25	0,12	0,70	0,45	0,97	0,65	1,17	0,87	1,26	0,98	1,32
3	მაისი . . .	—	—	0,28	0,45	0,25	0,85	0,53	1,08	0,71	1,20	0,90	1,27	1,11	0,31
4	ივნისი . . .	0,02	0,18	0,13	0,58	0,33	0,87	0,58	1,10	0,82	1,21	1,02	1,29	1,17	1,32
5	ივლისი . . .	—	—	0,09	0,47	0,27	0,80	0,50	1,00	0,74	1,14	0,85	1,22	1,10	1,27
6	აგვისტო . . .	—	—	0,05	0,28	0,19	0,70	0,40	0,95	0,66	1,12	0,87	1,20	0,99	1,25
7	სექტემბერი . . .	—	—	0,01	0,16	0,11	0,54	0,30	0,83	0,54	1,08	0,75	1,20	0,90	1,27
8	ოქტომბერი . . .	—	—	—	—	0,11	0,30	0,30	0,73	0,54	1,00	0,75	1,19	0,91	1,27
9	ნოემბერი . . .	—	—	—	—	0,05	0,16	0,20	0,53	0,41	0,95	0,61	1,03	0,75	1,17

ტაბულიდან ნათლად ჩანს, რომ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, დაახლოებით ნოემბრიდან აპრილამდე პერპენდიკულარული და ჰორიზონტალური ზედაპირისათვის მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობა შედარებით სუსტია, მაკრამ ამ საქმეში მნიშვნელობა აქვს დღის საათებსაც. როგორც ტაბულიდან ჩანს, განსაკუთრებით ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე დღის და საღამოს საათებში მზის რადიაციის დაძაბულობა შედარებით სუსტია და ამიტომაც მისი ენერჯის მაქსიმალურად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გაზაფხულის ბოლოდან შემოდგომის დასაწყისამდე, როცა დღის გვიან და საღამოს ადრე საათებში ეს დაძაბულობა შედარებით უფრო ძლიერია.

ტროპიკებისა და მუზეუმის ხოქოს გარდა მზის რადიაციის გამოყენება შესაფერის პერსპექტივებს გვისანავს ფესხაანსრიანთა კოლექციებისა და პატარა ცხოველთა დოლოზების სხვა მვენებლების წინააღმდეგ. ბრძოლისათვის. ხაზგასმით იგვე ითქმის აბრეშუმის პარკისა, საკვები პროდუქტებისა, ტანისამოსისა და სხვ. ამგვარი მვენებლების შესახებაც, ე. ი. ძირითადად იმ მვენებლების შესახებ, რომლებიც არ ცხოვრობენ (არ იკვებებიან) მცენარეებზე (ცხოველებზე), რადგანაც მზის რადიაცია ისეთსავე გავლენას მოახდენდა ამ უკანასკნელებზე,

რადიაციის დაზარალების (მც. კალორიებში) საშუალო თვიური მონაცემები უბრალოდ დახვეწის აქტინომეტრის განკუთვ. მასალების მიხედვით.

11-12 ს.		12-13 ს.		13-14 ს.		14-15 ს.		15-16 ს.		16-17 ს.		17-18 ს.		18-19 ს.		19-20 ს.	
ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე	ჰორიზონტალურ ზედაპირზე	პერპენდიკულარ. ზედაპირზე
0,93	1,35	0,95	1,36	0,88	1,34	0,74	1,30	0,50	1,17	0,16	0,85	0,04	0,32	—	—	—	—
1,11	1,34	1,11	1,34	0,98	1,33	0,89	1,30	0,65	1,20	0,40	1,13	0,16	0,76	0,04	0,29	—	—
1,20	1,34	1,20	1,34	1,12	1,32	0,96	1,29	0,77	1,21	0,50	1,05	0,21	0,87	0,07	0,82	—	—
1,24	1,34	1,25	1,39	1,15	1,32	1,03	1,29	0,83	1,22	0,58	1,10	0,33	0,90	0,13	0,56	—	—
1,20	1,30	1,20	1,30	1,09	1,27	0,95	1,24	0,77	1,16	0,55	1,04	0,31	0,85	0,12	0,54	0,01	0,17
1,10	1,27	1,10	1,28	1,03	1,27	0,90	1,23	0,70	1,15	0,46	1,04	0,23	0,77	0,06	0,30	—	—
0,95	1,30	1,00	1,30	0,91	1,23	0,75	1,21	0,52	1,09	0,28	0,87	0,10	0,53	0,00	0,17	—	—
1,00	1,29	1,00	1,29	0,90	1,27	0,75	1,17	0,52	0,92	0,28	0,64	0,10	0,22	—	—	—	—
0,81	1,23	0,78	1,22	0,70	1,18	0,53	1,03	0,31	0,76	0,12	0,30	—	—	—	—	—	—

როგორც მათ მავნებლებზე, და თანაც მზის სხივადი ენერჯის მოქმედება შენელებული იქნებოდა ამ ორგანიზმთა ზეგავლენით (იხ. ზევით, გვ. 76, ლოზინა-ლოზინსკის მონაცემები, 9).

ამნაირად, კონტრაქციული ჰიპოთეზი დამოუკიდებელი სახით საქმარისი არ არის ყველა გეოტექტოგენეტური მოვლენების ასახსნელად.

წმინდა პლუტონისტური ჰიპოთეზებიდან საინტერესოა შემდეგი ავტორების მოსაზრებანი:

როტპლეცი (Rothpletz 22) ლაპარაკობს, რომ მიწის შიგნითაა მდებარე მასობრივი მაგმური მასები სწევნ ზევით დანალექ წყებებს და აღმართვენ მათ მთებად.

ლოზინსკი (17) ამტკიცებს, რომ კარბატების, აბალახების და სხვა მთების დანაოჭება გამოწვეულია მთების ქვეშ არსებული მაგმის გვერდითი დაწოლით.

ა. პენკი (Penk 21) აღნიშნავს, რომ ჩრდილო ამერიკის დასავლეთით არსებული მთაგრეხილების აგებულება არ შეიძლება ახსნილ იქნეს გვერდითი მოწოლით. იგი გამოწვეული უნდა იყოს ქვევიდან ამოწევით.

ლინდემანი (Lindemann 16) უარყოფს კონტრაქციულ ჰიპოთეზს იმის გამო, რომ მას არ შეუძლია ახსნას ღია ნაპრალების, დიდი გრაბენების და ინტრუზიების წარმოშობა, რომელიც ლაპარაკობს მიწის ქერქის გაფართოებაზე და არა შეკუმშვაზე. ამის გამო იგი საფუძვლად ედებულობს მიწის ბირთვის გაფართოებას, რომელიც გამოწვეულია ცხელი და მეტად შემჭიდროებული აირების გაფართოებით, რომლებიც გადაეცემიან მაგმურ შრეს და უკანასკნელის შემწვობით მიწის ქერქს.

ამ თეორიის მოწინააღმდეგენი აღიარებენ რა აირებით და ორთქლით მდიდარი მაგმის გარკვეულ აქტივობას, რომელსაც შეუძლია გვერდითი ქანების ნაწილობრივი შთანთქმით ან რამდენადმე აწევით თავისათვის სივრცის შოვნა, აღნიშნავენ, რომ არიან ისეთი მთები, მაგალითად, იურის მთები შვეიცარიაში, კამბრიულის ნაოჭები ბაიკალის დასავლეთ ნაპირზე, რომლებიც მაგმურ ქანებს არ შეიცავენ. გარდა ამისა მაგმური მასები თვითონ ატარებენ დანაოჭების ნიშნებს, ისე როგორც ამას აღვილი აქვს ალპების ცენტრულ მასივებში, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი თამაშობენ არა აქტიურ, არამედ პასიურ როლს.

ასეთი სახით არსებული პლუტონისტური ჰიპოთეზების საწინააღმდეგოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დანალექ წყებზე მაგმის ქვევიდან ზევით უშუალო მოწოლით ვერავითარ შემთხვევაში ჩვენ ვერ ახსნით ნაოჭა სტრუქტურების მრავალფეროვნებას. ასეთი ამოწევით ჩვენ ძირითადად უნდა მიგვეღო როგენის პრიმიტიული გუმბათისებური ამობურცვა, სადაც აქა-იქ აღვილი ექნებოდა შედარებით უფრო წვრილ არაკანონზომიერ ნაოჭების არსებობას.

რაც შეეხება აზრს იმის შესახებ, რომ არსებობენ ისეთი მთები, რომლებიც მაგმურ ქანებს არ შეიცავენ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ გამოირიცხავს მიწის ქერქის ღრმა ზონებში ინტრუზიული სხეულების არსებობის შესაძლებლობას.

აქტიური მაგმით დანაოჭების გამოწვევე წარმოდგენებიდან არა ნაკლებ საინტერესო არიან მაგმური დინების ჰიპოთეზები.

მასათა დინების თეორიის მამამთავრად დიოტონი (Dutton 9) ითვლება. დიოტონი უარყოფდა რა კონტრაქციულ ჰიპოთეზს, აღნიშნავდა, რომ მიწის ქერქი შედგება უფრო მძიმე და უფრო მსუბუქი მასებისაგან. წონასწორობის (იზოსტაზისის) აღდგენისათვის პირველნი უნდა იძირებოდნენ, რის შედეგადაც წარმოიშევიან ჩაღრმავებები, მეორენი კი უნდა იწვევდნენ მაღლა, რის შედეგადაც წარმოიშობიან ამოზნექებები. როდესაც არსებული ჩაღრმავება ნალექებით

ივსება და ხდება უფრო მძიმე, იგი იწვევს დაბლა. გვერდით არსებული ამოხნე-
ქილობა დენუდაციის გამო ხდება უფრო მსუბუქი, ამიტომ იგი უწევს იწვევს,
და მის ფერდობებზე აღდგოლი აქვს ახლად დაღეკილი წყებების დინების მაგვარ
მოვლენას, რის შედეგადაც წარმოიშობიან ნაოჭები და მთებიც.

ამპფერერი (Amperer 1) ფიქრობდა, რომ ნაოჭა მთები წარმოადგენენ
ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან აწვეათა სარტყელს, საიდანაც გამოდიან
საწინააღმდეგოდ მიმართული მავმური ნაკადები, რომლებიც იწვევენ დანაო-
ჭებას.

აღნიშნული ამოწვევები შეიძლება გამოწვეულ იქნეს როგორც მიწის ქერქის
ქვეშ არსებული პლასტური მასების გავანიერებით, ისე ახლო მდებარე სხვა
უბნების დაძირვით. გარდა ამისა შესაძლებელია სათანადო როლს თამაშობდნენ
დაპოჟიციდებელი თერმული დინებანიც.

ქ. ანდრე (Andree 2) ტამანის ცდების საფუძველზე აღნიშნავდა, რომ
ამოწვეათა მიზეზი უნდა მდგომარეობდეს დიდი წნევის პირობებში მყოფ სილი-
კატური მასების კრისტალიზაციისას, გლაუბერის მარილის მგავსად, მოცულო-
ბის გადიდებაში. მოცულობის გაზრდით გამოწვეული წონასწორობის დარღვევა
პლასტურ მასებში ახდენს იზოსტატიკურ დინებებს, რომლებიც გეოსინკლი-
ნებში მთათა წარმოშობას იწვევენ.

დინების მიმართულება დამოკიდებულია მეზობელი უბნების სიმაღლეთა
სხვაობაზე, რაც წარმოშობს წინა და უკანა მხარეებს (Vorland und Rück-
land). იმის გამო, რომ მიწის ქერქი და პლასტური მასა რამდენადვე ერთმან-
ნეთთან არიან დაკავშირებული, უკანასკნელის მოძრაობას მიჰყვება თან პირ-
ველი, რომელიც ნაოჭდება.

რუკლანდისა და ნაოჭა მასების საზღვრებზე არა იშვიათად ხდება მაგმის
ზედაპირზე ამოჭრა. დინების მიმართულება იწვევს ნაოჭა მთების ერთმხრივ
აგებულებას.

შესაძლებელია აგრეთვე ფორლანდის ამოხნექვა. პლასტური მასის დი-
ნება გეოსინკლინში იწვევს ოროგენეტურ, ხოლო მატერიკულ მხარეებში კი
ეპიროგენეტურ მოვლენებს.

აღნიშნული თეორიის საწინააღმდეგო დებულებანი კარგად აქვს ჩამოყა-
ლიბებული ობრუჩევის (18).

1. დიდი წნევის პირობებში სელიკატური ქანების დაკრისტალეპისას მათი
მოცულობის გაზრდა არ არის დამტკიცებული.

ეს საკითხი ამ სახით უნდა მოიხსნას, რადგან ვფიქრობთ, რომ დანაო-
ჭება ხდება მიწის ქვეშ არსებული მავმური მასების დაკრისტალეპამდე. საერ-
თოდ კი მიწის ბირთვის შეკუმშვამ შესაძლებელია გამოიწვიოს ტემპერატურის
გაზრდა და მავმური მასების გაფართოება.

2. თუ მაგარი მიწის ქერქი მკვიდრად არის დაკავშირებული პლასტურ
მასასთან, მაშინ უკანასკნელის ამოხტრევისას პირველი უნდა გაიჭიმოს, დანა-
პრალდეს, ღია ნაპრალეებში კი მაგმა უნდა შეიჭრას და მხოლოდ უკანასკნელის
გამაგრების შემდეგ შეიძლება მოხდეს დინებას მოყოლილ მიწის ქერქის დანა-
ოჭება.

3. ძნელია პლასტური მასების აზობურცვის საშუალებით გეოპლასტიკურ ნებში მატერიკების კიდეების პარალელურად ნაოჭების არსებობის ახსნა. გეო-ხინკლინის მნიშვნელოვან სავანისას უნდა წარმოიშვას სხვადასხვა მიმართულე-ბის ადგილობრივი ნაოჭები.


4. ორო- და ეპიროგენეტურ მოძრაობათა ციკლიურობა აუხსნელი რჩება. აქტიური მაგმის დინებით გამოწვეული დანაოჭების ჰიპოთეზში, ვფიქრობთ, საჭიროა შემდეგი შესწორების შეტანა. მაგური მასების დინებანი მიაცურებენ შათზე მოტივტივე კონტინენტებს, რომლებიც გეოსინკლინებში იწვევენ დანაო-ჭებას. კონტინენტების მოძრაობის გამოწვევი მიზეზის გამოკლებით, მიღებული შედეგი ანალოგიური იქნება იმ შედეგისა, რომელიც მიიღება კონტრაქციული ჰიპოთეზით კონტინენტური მასივების მოძრაობის დროს.

პიროსფეროში არსებული რადიოაქტიური პროცესების საშუალებით და შემდეგ კოსმიური მოვლენების შემწეობით ხსნის ჯოლი (July 11, 6, 7) მიწის ქერქის დანაოჭებას და მთების წარმოშობას.

მისი აზრით მატერიკების ქვედა ნაწილები და ოკეანეების ძირები სამყა-როში განსხივების შედეგად განუწყვეტლივ ჰკარგავენ სითბოს, მაგრამ გარ-კვეულ სიღრმეზე ბაზალტურ საგებში სითბო, წარმოშობილი რადიოაქტიური ელემენტების დაშლით, არა თუ დაკარგულის კომპენსაციას ახდენს, არამედ თანდათან გროვდება.

გრანიტული შემაღელობის მატერიკების ქვედა ნაწილის ტემპერატურას ჯოლი დებულობს $9^{\circ}1^{\circ}C$, ხოლო მის ქვემოთ არსებული ბაზალტის ზედა ნაწილის ტემპერატურას კი $1050^{\circ}C$, რაც ბაზალტის დნობის ტემპერატურაზე 100° -ით ნაკლებია, ამიტომ იგი მაგარ მდგომარეობაში იმყოფება.

ჯოლის გამონაგარიშებით კონტინენტების და გარკვეულ სიღრმეზე ოკეანეების ქვეშ ბაზალტურ საგებში შემაჯალი რადიუმისა დი თორიუმის (მის მიერ მხედველობაში არ არის მიღებული კალიუმი და რუბიდიუმი) რადიოაქტი-ური დაშლის შედეგად გარკვეული დროის განმავლობაში (33—50 მილიონი წელი) ხდება სითბოს დაგროვება, რომელიც ბაზალტურ საწოლს ალღობს. ბაზალტური საგების თხევად მდგომარეობაში გადასვლისა და მისი ხვედრითი წონის შეტვირების გამო, კონტინენტური მასივები გამლღვალ ბაზალტში კიდევ უფრო ღრმად ჩაიძირებიან, რასაც ზღვის ტრანსგრესია მოჰყვება. ამავე დროს ბაზალტური საგების მოცულობის გაზრდის შედეგად მიწის მთელს ზედაპირზე წარმოიქმნებიან ვამხლეჩი ძალები, რომლებიც მიწის ქერქს დაანაპრალებენ. ღია ნაპრალებში მოხდება ბაზალტის გაქრა, რომელიც წარმოშობს ვულკანურ კუნძულებს და პლატოებს. როდესაც ბაზალტური საგების მნიშვნელოვანი ნაწილი, ოკეანეების უშუალო ძირის გამოკლებით, თხევად მდგომარეობაში გადავა, მზისა და მთვარის მიზიდულობით მასში ადგილი ექნება მოქცევას და მიქცევას, რაც განიიწვევს ოკეანის 6 კმ. სისქის მაგარი ქერქის და მატერი-კების აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თხევად საგებზე სრიალს, რის შედე-გადაც მოხდება მატერიკების ძირის ყოველ ადგილზე ოკეანური სივრცის თან-დათან გადაადგილება და, წყლის მასების შემწეობით სწრაფი გაციების გამო, ბაზალტი კვლავ მაგარ მდგომარეობაში გადავა.



გამაგრებული მასები მეტი ხვედრითი წონის გამო დაიწყებენ მაკმობი ჩაძირვას, და გაციება იწარმოებს ქვევიდან ზევით ამავე მიმართულებით თანდათან ზრდით.

გამაგრების შედეგად კოსმიური მიზიდულობის ძალების გავლენაც კლებულობს.

ბაზალტი მოცულობით ისევ მცირდება, ზოლო მისი სიმკვრივე მატულობს. ხდება მიწის რადიუსის შემცირება. ამის გამო მიწის ზედაპირზე ადგილი ექნება შემამკიდროებელ დაძაბულობას, რომელიც ყველაზე მეტ შედეგს ოკეანეების ძირზე მოგვცემს. ასე იწყება დანაოჭების პროცესი. კონტინენტური მასივები ოკეანური დონის მიმართ რამდენადმე ზევით აიწევენ, რაც რეგრესიას გამოიწვევს.

დანაოჭების საწყის სტადიაში ოკეანეების ძირში წარმოიშობიან ბრტყელი ტალღისებრივი ნაოჭები, რომლებიც თანდათან შეკუმშვით და შემცირებით დაიწყებენ კონტინენტზე მიწოლას, სადაც გეოსინკლინის განაპირა ნაწილში ადგილი ექნება კონტინენტების შიგნით გადაწოლილი ნაოჭების დაგროვებას და მთების წარმოშობას. ეს პროცესი გავრძელდება ბაზალტური საგების დაკრისტალდებად. ბოლოს ხდება დანაოჭებული ზოლის იზოსტატიკური ხასიათის საერთო ვერტიკალური აწევა, რომელიც ოროგენეზისის უკანასკნელ აქტს წარმოადგენს. ავტორის აზრით, სხვადასხვა მიზეზებით შავადაშვი შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბაზალტური საგების ნაწილობრივ გაღობას, რაც ოროგენეტურ პროცესს რამდენადმე ასუსტებს და აფერხებს.

გრანიტული ინტრუზივების წარმოშობას ჯოლი შემდეგნაირად ხსნის: კონტინენტური მასივები, ბაზალტურ საგებში იზოსტაზისის კანონით ღრმად ჩაძირულობის გამო, ძალიან დიდი დროის განმავლობაში, მაღალი ტემპერატურის პირობებში იმყოფებიან, იმდენად მაღალი ტემპერატურისა, რომ ეს იწვევს გაღობას თუ არა, დარბილებას მაინც.

დანაოჭების უკანასკნელ აქტისას, როდესაც ადგილი აქვს მთაგრეხილის საერთო ვერტიკალურ აწევას და მის საბოლოო ჩამოყალიბებას, ეს დარბილებული გრანიტული მასები ოროგენის აღმავალ მოძრაობას ზევით მიჰყვებიან და წარმოიშობიან ის ფართე ინტრუზივები, რომლებს შემოჭრაც ოროგენეზისის მთავარსა და უკანასკნელ აქტს მოსდევნენ.

ამაირად, მიუხედავად იმისა რომ ჯოლის ჰიპოთეზში დანაოჭების ციკლის დასაბამს ბაზალტური საგების გაფართოება წარმოადგენს, თვით დანაოჭება კონტრაქციის თეორიის მსგავსად მის შეკუმშვასთან არას დაკავშირებული.

ჯოლის ჰიპოთეზში სხვადასხვა ავტორების მიერ შემჩნეულია ზოგიერთი ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ ჰიპოთეზის დამცველთა მიერ მოხერხებულად არის უარყოფილი.

ჯონ ივანსი (John Evans) 1926 წელს აღნიშნავდა, რომ ბაზალტური საგების რადიოაქტიური სითბოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯება ამ საგების ქიმიურ, ფიზიკურსა და ატომურ სახეცვლაზე. უმნიშვნელო ნაწილი კი მის

ვალლობაზე. ამის მაგალითად ავტორს მოჰყავს ბიოტიტში ჩართული აქტიური მინერალის ცირკონის გარშემო არსებული პლეოქროული ორეოლი, რომლის მოცულობა ბევრად მეტია, ვიდრე მისი წარმოქმნილი რადიოაქტიური წყარო — ურანი და თორიუმი.

ჰოლმსის თანამშრომელი ლაუსონი (R. W. Lawson) 1927 წელს ჩატარებული ლაბორატორიული ცდების საფუძველზე ივანსის საპასუხოდ წერდა, რომ უკანასკნელი ავტორის მიერ აღნიშნული სითბოს დანახარჯი, მთელს რადიოაქტიურ სითბოსთან შედარებით, 1% -ს არ უნდა აღემატებოდეს.

მეორე საწინააღმდეგო აზრი გამოთქმულ იქნა ისევ 1926 წელს ჯერარდ მაკ-კარსის (G. R. Mac-Carthy) მიერ, რომელიც აღნიშნავდა, რომ, როდესაც ოკეანის ქვეშ არსებული ბაზალტური მასები ვალდებიან, ოკეანის მაგარ ძირს დასაყრდენი გამოეცლება, გახსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაწევის ნაპრალებში ქვევიდან მაგმა გამოიჭრება, ამ დროს ოკეანის ძირი ჩანგრევას და ვალლობას დაიწყებს და ბაზალტის გამლღვალი მასები ოკეანის წყალთან უშუალო შეხებაში მოვლენ, რაც კატასტროფას გამოიწვევს.


ამის საპასუხოდ ჰოლმსი (A. Holms) ამტკიცებს, რომ ოკეანური ძირის ჩანგრევის შემთხვევაშიც კი კატასტროფას ადგილი არ ექნება, რადგან გაჩნდება ახალი მაგარი ქერქი, რომელიც 6 კვირის განმავლობაში 250 სანტიმეტრ სიძლიერეს მიაღწევს. ამავე დროის განმავლობაში ოკეანური ძირის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრს მაგმა მისცემს 100.000 კალორია სითბოს, რომელიც გადაეა 400.000 ს. მ. სიმაღლის სვეტში. თუ მავმურ სითბოს მთელს ამ სვეტზე გავანაწილებთ, მაშინ უკანასკნელის ტემპერატურა 6 კვირის განმავლობაში 0,25°-მდე ძლიერს იწვევს.

ჯოლის ჰიპოთეზის მთავარი ნაკლი ჩვენის ფიქრით მდგომარეობს არა ახლა ჩამოთვლილ მოსაზრებებში, არამედ იმაში, რომ ეს ჰიპოთეზი ვრანტიკოიდული ინტრუზივების წარმოშობას ვერ ხსნის, იგი აქ მიტმანისლის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ნაწილობრივ დასაშვებია, რომ მთავრებილის იზოსტატიკური ხასიათის საერთო ვერტიკალურ აწევას თან გაჰყვეს პალინგენეტური გრანიტული მაგმა, მაგრამ მეავე მაგმის ასეთი გაყოლით ჩვენ ვერ ავხსნივთ გრანიტიკოიდული მაგმის მიერ მის ზევით არსებული ქანების გაკვეთას, ფართე მასშტაბის ინტრუზივების და რივ შემთხვევაში მეავე ეფუზივების წარმოშობას.

თუ გრანიტული მასა, როგორც ავტორი აღნიშნავს, მთლიანად გამლღვალი არ არის და მხოლოდ დარბილებულია, იგი კონტინენტის ზევით ამოწევისას მასთან ერთად, როგორც მისი შემადგენელი ქვედა ნაწილი, აგრეთვე ზევით იმოდრავებს და არ არის პირობები იმისა, რომ ეს რბილი მასა ზევით გამოიჭრას.

ხოლო თუ ბაზალტური საგების გარკვეულ უბანში მის თავზე და კონტინენტის ქვეშ წარმოვიდგენთ პალინგენეტურად წარმოშობილ ნამდვილ გრანიტიკოიდულ ნაღობს, უკანასკნელის დონის ქანაობა დამოკიდებული იქნება არა კონტინენტის და მთელი ნაოჭა სისტემის აღმავალ მოძრაობასთან, რომლის მიზეზი, ავტორის მიხედვით, ბაზალტური საგების გამაგრებაში მდგომარეობს,



არამედ ამ უკანასკნელთან, რომელიც შეკუმშვისა და აგრეთვე იმის გამოკონტინენტის ზევით ამოწვევით გარკვეული სივრცე თავისუფლდება, შვევით იწვეს. ამ შემთხვევაშიც არ არის პირობა იმისა, რომ მთავე მაგმის მიწის ქერქში გამოქრა წარმოვიდგინოთ.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მიწის სიღრმეში ამ დროს ბაზალტური საგების შეკუმშვისა და გამაგრების პირობებია დამდგარი, ეს, ალბათ, გრანიტულ ნაღობსაც შეეხება, მით უმეტეს, რომ იგი ბაზალტური საგების თავზე იწყობება.

მოყვანილი მოსაზრებების გარდა ჯოლის ჰიპოთეზს სხვა პეტროგენეტიკური ნაკლოვანებანიც ახლავს. უბირველეს ყოვლისა არ რჩება ადგილი იუვენური მთავე მაგმის წარმოშობისათვის და მეორე ის, რომ სრულიად გამორიცხულია ულტრა-ფუძე მაგმის წარმოშობა, რომელიც დიდ სიღრმეზე უნდა ვიგულისხმოთ, რადგან მიწის ქერქში გაშიშვლებული მეტ წილ ამ ტიპის მასივების შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ ახლანდელ ადგილზე შემოჭრილი მაგმა უკვე ულტრა-ფუძე ხასიათისა იყო, ე. ი. მისი წარმოშობა ადგილზე მომხდარ დიფერენციაციას არ მიეწერება.

კონტინენტების გადაადგილების საშუალებით დანაოჭების ახსნა არა ერთ ავტორს უტყლია. შემდეგში ამ შეხედულებას ჩამოყალიბებული სახე მისცა ვეგენერი (5). იგი ამტკიცებს, რომ დასაწყისში ყველა მატერიკები ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდნენ, რომლებიც თხელი სიალური შრის სახით ჰფარავდნენ სიმატური საგებს. დედამიწის ბრუნვისაგან დამოკიდებით ქერქში ჩნდება ორგვარი ძალა. ერთის გავლენით ხდება მიწის პოლუსებთან ჩახნეჭვა და ეკვატორის გამობურცვა, რაც იწვევს ქერქის პოლუსებიდან ეკვატორისაკენ გადაადგილებას. მეორე ძალა არის უფრო ძლიერი, რომელიც წარმოიქმნება ზედაპირული შრეების შინაგანისაგან ჩამორჩენის შედეგად, რომელსაც იწვევს მიწის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ბრუნვა და მზისა და მთვარის მიზიდულობით პლასტურ ბაზალტურ საგებში მოქცევის ტალღების გაჩენა, რაც ბრუნვას აფერხებს.

ამ ძალების განსაკუთრებით უკანასკნელის გავლენით მთლიან სიალურ შრეში ნაოჭები და რღვევები გაჩნდნენ და პალეოზოურ ერაში ძლიერი დანაოჭება გამოიწვიეს. სიალურმა შრემ ერთად მოიყარა თავი და ერთი მთლიანი მატერიკი წარმოიშვა. მიწის დანარჩენი ნაწილი კი სიმატური საგების მქონე ოკეანეს წარმოადგენდა. შემდეგ მეზო- და კაინოზოური ერების განმავლობაში იმავე ძალების მოქმედებით მატერიკმა სხვადასხვა ნაწილებში გაბოზა იწყო. ამ დროს სხვადასხვა მამართულებით მასში შეჭრილ თხელი ზღვების ახალგაზრდა ნალექებში ხდებოდა ნაოჭების წარმოშობა.

მატერიკების შემდგომმა გადაადგილებამ მოგვცა კონტინენტების ისეთი განლაგება, როგორსაც აქვს ადგილი დღეს. ამ გადაადგილების შედეგად კონტინენტების საზღვარზე ხდებოდა ნაოჭების გაჩენა და მთავრებილების წარმოშობა.

ვეგენერის ჰიპოთეზის მთავარი დამაქვევებელი დებულებები შემდეგია:

1. სიალის ერთად თავმოყრა ძირითადად ჩრდილო ნახევარსფეროშია შესრულებული. მისი სიალური აპკის დანაოჭებისა, გაპობისა და გადაადგილების შედეგად ეკვატორის გასწვრივ წვრილი მატერიკი უნდა წარმოშობილიყო.

2. უფროპისა და აფრიკის დასავლეთ ნაპირზე ნაოჭა მთების არ-არსებობა, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ამერიკის დასავლეთ ნაპირზე. ნაოჭა მთების არსებობა აზიის აღმოსავლეთ ნაპირზე.

3. ანტარქტიკისა და ავსტრალიის სიგანედური მოწყვეტა აზიისაგან და აფრიკისაგან და მათი გადაადგილება სამხრეთისაკენ, ე. ი. პოლუსისაკენ და არა ეკვატორისაკენ.

4. ჰელკეს გამოთვლით ძალა, რომელიც იწვევს პოლუსების ჩაზნექას, ერთ კვადრატულ სმ. ფართზე აღწევს მხოლოდ ორ ატმოსფეროს, რაც საკმარისი არ არის სიმთვრის შრის წინააღმდეგობის გადალახვისათვის. ასევე საკმარისი არ არის ძალა, რომელიც წარმოიშობა მოქცევის ხახუნის შედეგად.

5. ფეგენერიის თეორიას, ჩვენის ფიქრით, არ ძალუძს მავშური პროცესების ახსნა. განსაკუთრებით მას არ ძალუძს ნაოჭა მთებში ფართოდ გავრცელებული მჭავე ინტრუზივების წარმოშობის განმარტება.

ზემოთ მოყვანილ ტექტოგენეტურ წარმოდგენათა შემდეგ, საინტერესოა პულსაციის ჰიპოთეზი, რომელსაც 1939 წელს გარკვეული სახე მისცა ბოჩერმა (Bocher 3, 19).

ეს ჰიპოთეზი წარმოადგენს შეხამებას, ერთის მხრივ, კონტრაქციული ჰიპოთეზისას, რომელიც სითბოს დაკარგვით გამოწვეულ შეკუმშვის საშუალებით ხსნის მიწის ქერქის დეფორმაციებს და, მეორე მხრივ, იმ ჰიპოთეზებისა, რომლებიც ამ დეფორმაციებს მიწის ბირთვის გაფართოებას მიაწერენ.

ოროგენეზისი დაკავშირებულია მიწის შეკუმშვასთან, გეოსინკლინური დაძირვა კი საწინააღმდეგო დაძბულობასთან, სახელდობრ გაფართოებასთან.

ბოჩერი აღნიშნავს, რომ დიასტოლიურ ფაზაში ქერქის ქვეშა მასებებს მოკულობის გაზრდის შედეგად ხდება მიწის ქერქის გაწევა. ეს გაწევა გამოიხატება გარკვეული ზონების დაწევაში. იქ, სადაც ხმელეთიდან მოიტანება ბევრი მასალა, ადგილი აქვს ქერქის ქვევითკენ განსაკუთრებით ძლიერ გაღუნვას და წარმოიშობიან დადაბლებული ზონები, რომლებიც შეიძლება ზღვით დაიფარნენ.

სისტოლიურ ფაზაში გაფართოება იცვლება შეკუმშვით, მიწის ქერქის შემცირება და გასქელება ხდება ნაკლები წინააღმდეგობის ადგილებში. ასეთებად უპირველეს ყოვლისა უნდა ჩაითვალოს ზონები, რომელთა მიმართაც კრისტალური საფუძველი განსაკუთრებით გაღუნულია, ე. ი. სინკლინური ზონები. ამ გეოსინკლინებში ხდება მთავრეხილების წარმოშობა. მათ შორის არსებულ შუალედ ადგილებში მიწის ქერქის ამობურცვანი კი უფრო იზურცებიან.

დიდ გეოსინკლინებში მიწის ქერქი, სცილდება რა საფუძველს, იწვევს ძირს და წარმოიშობა სიალური მასალისაგან შემდგარი მთების ფესვები, მაშინ როდესაც ყველაზე უფრო ზედა შრეები ნაოჭებს წარმოშობენ. ხოლო როგორც კი შეკუმშვა შეწყდება, მთიანი ოლქი აიწევის იზოსტატიკური წონასწორობის აღდგენისათვის.

ობრუჩევი (19) პულსაციის ჰიპოთეზის ერთ-ერთ ძირითად თეზის შემდგენიარად აყალიბებს: „Непрерывно-прерывистый ход развития состоит не только в перемежаемости длинных более спокойных эволюционных и бурных революционных эпох, соответствующих временным победам сжатия над расширением или обратно, но и в перемежаемости более коротких эпох тех и других движений. Длинные эпохи можно назвать циклами, короткие — фазами. Каждому циклу подчинено большее или меньшее число фаз. Фазы сжатия и расширения, чередующиеся друг с другом, представляют пульсации, сравнимые с движениями живого сердца, почему гипотеза, основанная на них, называется пульсационной“ (стр. 25).

მ. ტეტიაევის (23) მიხედვით დანაოქება გეოტექტოგენეზში არის მიწის გაფართოების ნახტომური ფაზა, რომელიც წარმოადგენს მიწის ქერქის წარმოშობის შემდგომი დროის შეკუმშვისა და გაფართოების ბრძოლის წამყვან მხარეს.

ჩვენს პლანეტაზე ქერქის წარმოშობის შემდეგ მოისპო განსხივება, როგორც უკუგდების ფორმა, და მიზიდულობისა და უკუგდების ურთიერთ მოქმედებაში მიიღო ხარისხობრივად სხვა სახე. ადგილი აქვს წინააღმდეგობებს მიწის ქერქსა და განვითარების პროცესში მყოფ მიწის შინაგან მასას შორის, სადაც შეკუმშვის გამო ხდება სხვადასხვა სახის ენერჯის დაგროვება. ამნაირად, თუ წინათ წამყვან როლს შეკუმშვა თამაშობდა, ახლა ეს როლი მიეკუთვნა გაფართოებას.

მ. უსოვის (26) მიხედვით, არ არის სწორი, რომ ვარსკვლავურ სტადიაში ციურ სხეულში უკუგდება გამოხატული იყოს მხოლოდ სხივების გაფანტვაში. ასტროფიზიკის მონაცემების საფუძველზე იგი გამოიხატება აგრეთვე გაფართოებაში ვარსკვლავის „გაბერვაში“, გარდა ამისა ქერქის არსებობისათვის უკუგდების სხვაგვარი ხარისხობრივი გამოხატულება არ ნიშნავს წამყვანი როლის გადასვლას გაფართოებაზე.

მიწის, როგორც ციური სხეულის, ევოლუცია, რომელიც მის შემქმნელობაში მდგომარეობს, ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და წამყვანი არის შეკუმშვა. ამნაირად, ტექტოგენეზის ფაზა გამოიხატება შეკუმშვის ნახტომში. ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ვარსკვლავურ ფაზაში, უნდა შედარდებოდეს აგრეთვე გაფართოება, როგორც შეკუმშვის აუცილებელი თანამგზავრი. შეკუმშვის და გაფართოების ბრძოლა წარმოებს ცვალებადი წარმატებით, შეკუმშვის წამყვანი როლით.

იმავე სტატიაში მ. უსოვი ლაპარაკობს, რომ ტეტიაევისა და მის წინამორბედთა ცდებმა — დანაოქება გაფართოებას მიაწერონ, წარმატება ვერ მოიპოვეს. უპირველეს ყოვლისა გაუგებარია გაფართოების ფაზის დასაწყისში მასების აღმავლობის გეოსინკლინებთან კავშირი, სადაც ტეტიაევი წინა ევოლუციის შემდეგ ყველაზე მეტ შეკუმშვას გულისხმობს. გაუგებარია აგრეთვე აღმავალი მოძრაობის გადასვლა ჰორიზონტული მიმართულების ნაოქა გადაადგილებაში.

იგივე ავტორი სხვა წერილში აღნიშნავს, რომ მიწის თვითგანვითარება გამოხატება სხვადასხვაგვარ მოლეკულარულ და ატომურ ცვალებადობაში და მიწის შიგნით გენეტური ზონების გადანაწილებაში, რაც იწვევს მისი მოცულობის შეცვლას. მიზიდულობა მიისწრაფვის შეამკიდროვოს მატერია და იწვევს მის შეკუმშვას, მაგრამ შემკიდროვება იწვევს ენერგიის გამოყოფას, რაც ენჯელსის მიხედვით არის უკუგღების გამომხატველი. უკანასკნელი მიწის წიაღში მჟღავნდება გაწვევის ფორმებში. მიწის ქერქის წარმოშობის შემდეგ წამყვანი პროცესია შეკუმშვა. შეკუმშვის შედეგად მიწის წიაღში ხდება ენერგიის დაგროვება, იგი აღწევს გარკვეულ დაძაბულობას და ნახტომით აფართოებს წიაღს, იკვლევს გზას მკვირვ ქანებში და ნაწილობრივ ვულკანური მოვლენების სახით ხდება მისი სამყაროში გაბნევა.

მკვეთრი შეკუმშვის შემდეგ ჩვეულებრივად ადგილი აქვს ცოტად თუ ბევრად მკვეთრ გაფართოებას, რადგან შეკუმშვისას თავისუფლდება დიდი ენერგია. დანაოჭება არის ტექტოგენეზის ძირითადი ფორმა, რადგან გამოწვეულია შეკუმშვის ნახტომით, რომელიც წარმოადგენს მიწის განვითარების წამყვან მომენტს, ვულკანიზმი კი არის გაფართოების დროებითი გამარჯვება.

შეკუმშვის ფაზები სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირად მჟღავნდებიან: გეოსინკლინურ ზონებში ხდება ძლიერი დანაოჭება, უფრო მაგარ უბნებში კი ბელტური ანუ ლოდა დანაოჭება; დიდი ნაოჭები, გპროგენეტური ტალღები; ზღვიურ მხაოებში — ფაციესების ცოტად თუ ბევრად მკვეთრი ცვლა. საუკუნეებრივი რყევები წარმოადგენენ შეკუმშვასა და გაფართოებას შორის არსებული ბრძოლის შედეგს, მინიატურული ნახტომური მოძრაობანი, პულსაციები.


გაფართოების ფაზები გამოიხატებიან გეოსინკლინების წარმოშობით და დაძირვით, რომელთა ფორმირება წარმძღვანებულია პულსაციებით, რაც გაწვევის წვეტილებას ამტკიცებს.

დანაოჭების ზონებში გაფართოების ფაზები ინტრუზიულ ვულკანიზმში მჟღავნდებიან: შემდეგ კი მაგმური კერის დაღვეისა და მიწის ქერქის ზედა პორიზონტების ერთგვარი კონსოლიდაციის გამო წარმოიშობა ჩაქცევები და დაწვეები.

მიწის მაგარ უბნებში ფუძე ქანების, უმთავრესად ეფუზივების სიჭარბე გამოწვეულია იმით, რომ ამ ადგილებში გაწვევის შემდეგ წარმოშობილი ნაპრალები ჩადიან ბაზალტურ შრემდე (24).

მ. უსოვი 1940 წელს გამოსულ შრომაში (26) ეთანხმება ტექტონიკის მიერ გამოთქმულ აზრს ინტრუზიული პროცესის დანაოჭებასთან და გაფართოებასთან კავშირის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს შემდეგიდან ჩანს: За исключением абиссальных интрузивов, раскристаллизовавшихся примерно в зоне рождения магмы, интрузивы средних глубин и гилабиссальные имеют приводящие каналы и развиваются в верхних формациях по уже готовым структурам. Следовательно, они внедряются в подфазу расширения, следующую за подфазой сжатия общей фазы тектогенеза.

Множественность частных интрузий и эманаций указывает на неоднократное чередование сжатия и следующего за ним расширения



в скачковые фазы тектогенеза, как особенность диалектического проявления саморазвития материи земли в условиях земной коры. Садовни-
 тельно, правы и неправы геологи, связывающие интрузивную деятельность с фазами складчатости.

Необходимость кислого состава магмы и интрузивный ее характер в геосинклинальных складчатых зонах. Опускание кислой по существу земной коры в геосинклиналях до глубины формирования магмы в подфазы расширения. Выклинивание подводящих трещин — каналов в верхних еще гибких, сложенных в складки и формациях при редком выходе магмы на дневную поверхность.

Проявление вулканизма, вернее трещин, подводящих магму в фазу тектогенеза, существенно в складчатых зонах вследствие подготовки в них трещин при предыдущем развитии геосинклиналей и в подфазы сжатия“ (стр. 5).

ყველა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა ანალიზი საშუალებას იძლევა აღვნიშნოთ:

1. მიწა ვაეარვარებულ მდგომარეობიდან დაწყებული, სამყაროში სითბოს გასხივების გამო, ვაციებას განიცდის, რაც მტკიცდება მიწის ქერქის გაჩენით, რომელიც დღეს უკვე საკმაოდ სქელ შრეს წარმოადგენს. ვიდრე ეს დებულება უკუგდებული არ იქნება, უნდა დაფუძვით, რომ მიწა დღესაც განუწყვეტილად ცივდება, მიუხედავად იმისა, რომ რადიოაქტიური პროცესებით, აირების გაფართოებით და აგრეთვე შეკუმშვის შედეგად, ადგილი უნდა ჰქონდეს სითბოს პერიოდულ დაგროვებასაც.

2. გეოსინკლინები წარმოადგენენ მიწის ქერქის განსაკუთრებით დრეკად ზონებს, რომლებიც განლაგებული არიან არა მარტო მატერიკებს შორის, არამედ კონტინენტური ფარების ფარგლებშიც, როგორც მათი შემადგენელი ნაწილი. მათთვის აუცილებელი არ არის ვიწრო და გრძელი აუზების ფორმა და დიდი სიღრმე.

გეოსინკლინებში ან, ზოგადად რომ ვთქვათ, დაძირვის მხარეებში მოსალოდნელია როგორც ტიპური ღრმა ზღვის, ისე კონტინენტური, ლაგუნური და სხვა ნალექები. ნალექებს შორის შეიძლება ადგილი ჰქონდეს უთანხმოებასაც. გარდა ამისა აუცილებელი არ არის, რომ ნალექებს დიდი სიმძლავრე ჰქონდეს. რიგ შემთხვევაში დაძირვის მხარეები დანაოკებას არ განიცდიან.

3. კონტრაქციული ჰიპოთეზის მიმდევრების მიერ მიწის ბირთვის შეკუმშვით მავნური პროცესების ახსნა გაუგებარაა. დედამიწის ბირთვის შეკუმშვა, ალბათ, ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ ვაციების შედეგად გარკვეულ მასას, ვთქვათ მოლექულათა აგრეგატიული მდგომარეობის შეცვლით, შეუძლია უფრო მცირე მოცულობა დაიკავოს, რის გამოც იგი შეიკუმშება ტემპერატურის ახალი პირობების შეაბამის მოცულობამდე.

4. კონტრაქციული ჰიპოთეზის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს ის, რომ მიწის ქერქი არ არის უწყვეტი და გარდა ამისა იგი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თაღების მსგავსი სისტემა. ფაქტები უფრო იმის სასარ-

გვბლოდ ლაპარაკობენ, რომ ცალკეული მისი ნაწილები (კონტინენტური მასები) სტურავენ მაგმურ საფუძველზე. ამიტომ მიწის გაციება ტანვენსურ ძალებს ვერ წარმოშობს.

5. თუ მაგმური მასების ქვევიდან ერთგვარ მოწოლას არ დავუშვებთ, ძნელია ნაოჭების ზევით ამობურცვა და მთების წარმოშობა წარმოვიდგინოთ. ამავე დროს მაგმური მასების დანაღებ წყებაზე ქვევიდან ზევით მოწოლა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მივიღოთ ის რთული, მრავალფეროვანი და ამასთან ერთად კანონზომიერი სურათი, რომელსაც ჩვენ ნაოჭა მთათა სისტემაში შევხვდებით.

ასეთი ამოწვევით ჩვენ ძირითადად ოროგენის პრიმიტიული ამობურცვა ლობა უნდა მივიღოთ, სადაც აქა-იქ იარსებებს შედარებით უფრო წვრილი ნაოჭები. ამიტომ აუცილებელია ჰორიზონტალური ძალების არსებობის დაშვებაც, რომლებიც კონტინენტურ მასივებს დასანაოჭებელი სისტემის მიმართულებით გადაადგილებენ და მის დანაოჭებას გამოიწვევენ.

6. მიწის ქერქი შედგება უფრო მძიმე და უფრო მსუბუქი მასებისაგან. წონასწორობის (იზოსტაზისის) დამყარებისათვის პირველი იძირებიან და ჩაღრმავებებს წარმოშობენ, მეორე კი იწვევენ მაღლა. დენუდაციის შედეგად ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური ხდება.

7. მიწის სიღრმეში მასების ვაგანიერების ან იზოსტატიკური წონასწორობის დარღვევის შედეგად მაგმური ან კონვექციური ნაკადების არსებობა ლოკალურ აზროვნებას არ ეწინააღმდეგება.

8. მაგმური ნაკადების ვაგლენით მიწის ქერქის დანაოჭება მთელ რიგ წინააღმდეგობებს იწვევს. თუ მაგარი მიწის ქერქი ბაზალტურ საგებთან შეკიდრად არის დაკავშირებული, უკანასკნელის ამოხნევის შედეგად ქერქი უნდა გაიწელოს, დანაპრაღდეს, ღია ნაპრაღებში კი მაგმა უნდა შეიჭრას, რომლის ვამაგრების შემდეგ შეიძლება მოხდეს დინებას მოყოლილ მიწის ქერქის დანაოჭება. ასეთ შემთხვევაში ნაოჭა მთების უკანა ნაწილი უნდა წარმოადგენდეს მაგმური ქანებით გამოვსებულ წყვეტილ გრაბენებს, რასაც ბუნებაში ადგილი არა აქვს.

9. მიწის ქერქის წინააღმდეგობის გადასალახავად, რომლის სიმძლავრე ზოგიერთ გეოსინკლინებში 15 კმ. სციღდება, მაგმური მასების ამოწვევა კიდევ მეტს უნდა უღრიდეს, რასაც სინამდვილეში ადგილი არა აქვს.

10. გეოსინკლინებში მატერიკების კიდებების პარალელურად დანაოჭების ახსნა მოყვანილი სახით არსებულ დენების ჰიპოთეზით შესაძლებელი არ არის.

11. თუ წარმოვიდგენთ, რომ მაგმური დინებანი მიაკურებენ მათზე მოტივტივე კონტინენტურ მასივებს, რომლებიც გეოსინკლინებში (ლაბილ ზონებში) დანაოჭებას იწაივენ, მაშინ ბუნებაში არსებული ბევრი ფაქტი ვასაგები ვახდება.

12. რადიოაქტიური დაშლის შედეგად მიწის სიღრმეში დიდი რაოდენობით სითბოს გამოყოფა სიმართლეს უნდა შევეფერებოდეს. ხოლო რაც შეეხება ჯოღლის მიერ ჩამოყალიბებულ ოროგენეტურ ჰიპოთეზს, იგი სინამდვილეს სციღდება, რადგან პეტროგენეტურ საკითხებს ვერ ხსნის.

13. პულსაციის ჰიპოთეზი დანაოქებას კონტრაქციული თეორიის მსგავსად მიწის ბირთვის შეკუმშვით ხსნის, რის გამოც იგი ამ ნაწილში მისი უპირატესებით მხარეს ინაწილებს (იხ. პუნ. 4).

14. იმისათვის, რომ მაგმური პროცესები აიხსნას, პულსაციის ჰიპოთეზი, დანაოქების დამთავრების შემდეგ უშვებს ბაზალტური საგების გაგანიერებას, რის შედეგადაც იგი მაგარი მდგომარეობიდან თხევალში გადავა. ნაპრალები, რომელნიც წარმოიშვებიან დანაოქებულ გეოსინკლინურ ნალექებში, გაიხსნებიან, მაგმა ნაოქებში შეეკრება და ერთდროულად მათ ზევით ასწევს, რის შედეგადაც ნაირგვარი ინტრუზიული სხეულები წარმოიქმნებიან. სტაბილურ ადგილებში ნაპრალები, რომლებიც მაგმურ შრემდე ჩადიან, აძლევენ მაგმას საშუალებას ზედაპირამდე ამოვიდეს. რაც ვულკანურ ამოფრქვევებს მოვცემს.

მთავანილი მოსაზრების საფუძველზე ვულკანური ამოფრქვევები დანაოქების ბოლო სტადიასთან არიან დაკავშირებული. კავკასიაში კი, როგორც ადენიზნეთ, არა დიფერენცირებული პირველადი ბაზალტური მაგმის ეფუზივებს ადგილი აქვს დაძირვის სტადიაში, როგვინების დაწყებამდე. რაც შეეხება ინტრუზივებს, როგორც ცნობილია, მათი დიდი უმრავლესობა გრანიტოიდული შემადგენლობისაა და რაც მთავარია ისინი დანაოქების ფაზებთან არიან დაკავშირებული, რასაც პულსაციის ჰიპოთეზი ვერ ხსნის. აუხსნელი რჩება აგრეთვე ულტრა-ფუძე მაგმის წარმოშობა, რომლის მასივები დანაოქების ბოლო იმპულსებთან არიან დაკავშირებული.

* * *

განხილული მოსაზრებების გათვალისწინებით უფრო ბუნებრივი იქნება, თუ ზეენ მიწის განვითარებაში მთათა წარმოშობის ერთ მთლიან ციკლს შემდეგნაირად წარმოვიდგინთ:

მიწის ბირთვის თანდათან შეკუმშვასთან დაკავშირებით, რაც მისი რადიუსის შემცირებას იწვევს, ადგილი აქვს ქერქის გარკვეული უბნების დაძირვას. დაძირვა უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს, როდესაც ზემოთ ამოწეული მატერიკებიდან დაძირვის მხარეებში ნალექების დიდი რაოდენობით ჩატანა ხდება. მატერიკი იწვევს ზევით, დაძირვის მხარე კი, თანდათან ღრმავდება. ამ მიზეზით დაძირვის მხარის ქვეშ წნევა მატულობს, კონტინენტის ქვეშ კი დაახლოვებით იმავე სიდიდით კლებულობს, მაგრამ სხვაობა მხარე არ უნდა იყოს, რადგან ადგილი ექნება მასების დინებას დაძირვის მხარიდან მეზობელ კონტინენტისაკენ და ეს გრძელდება იქამდე, სანამ დანაოქება დაიწყებოდეს.

პიროსფეროს გარკვეული ნაწილის შეკუმშვის ტენდენციისას შიგადაშიგ ადგილი აქვს გაფართოების მკირეოდენ ეპიზოდებს, რაც იწვევს გეოსინკლინური აუზის (დაძირვის ოლქის) ქანაობას და პირველადი ბაზალტური მაგმის ამოფრქვევებს. აქ ადგილი აქვს ორი მოწინააღმდეგე ძალის ჰიდილს: ერთის მხრივ ნალექებით დატვირთული აუზი აწევა ბაზალტურ საგებს და სდევნის მას; მეორე მხრივ კი, ბაზალტური საგები დაძირვას გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს. მაგრამ, რადგან საგებში შეკუმშვის ტენდენციაა გამეფებული, ამიტომ დაძირვა სძლევს.

მიწის ქერქის დაძირვისა და პიროსფეროს მანების საწინააღმდეგარ მამაკრის
 თულებით განდევნის ხანგრძლივ ევოლუციურ პროცესში დგება კრიტიკული
 მომენტი, როდესაც ბაზალტური მასების შემდგომი შეკუმშვა აღარაა შესაძლე-
 ბელი, რადგან, შეკუმშვისა, რადიოაქტიური და სხვა პროცესების შედეგად,
 დაგროვდა ენერჯის ისეთი რაოდენობა, რომლის გადალახვა უკვე აღარ ხერხ-
 დება, მსგავსად ზამბარისა, რომლის შეკუმშვა გარკვეულ საზღვრამდე შესაძლე-
 ბელი. ბოლოს გაფართოება იწარჯეებს, რასაც მოსდევს დანაოქება, რომელიც
 ევოლუციის პერიოდთან შედარებით არის ბევრად უფრო მოკლე, რის გამოც
 იგი ციკლის რევოლუციურ პერიოდს უპასუხებს.

პიროსფეროს გარკვეული ნაწილის გაფართოების პროცესი, ჩვენის ფიქ-
 რით, უნდა გამოიხატებოდეს დაძირვის ოლქების მიმართულებით მაგმური ნაკა-
 დების გაჩენით. ეს ნაკადები მიატურებენ მათზე მოტივტივე კონტინენტურ
 მასივებს, რომლებიც დაძირვის ოლქებისაკენ (გეოსინკლინებისაკენ) შემხვედრი
 მიმართულებით მიიმართებიან და იწვევენ მათ შორის მოქცეული ნალექების
 თანდათან დანაოქებას. ნაოქა ზოლის მალა ამოწევა და მთათა წარმოშობა
 ხდება მაგმური ნაკადების ქვემოდან მოწოლით. აქაც პიროსფეროს გარკვეული
 ნაწილის გაფართოების ტენდენციისას შიგადაშიგ შესაძლებელია ადგილი ჰქონ-
 დეს შეკუმშვის მცირეოდენ ეპიზოდებს.

მაგმის ქვევიდან მოწოლის შედეგად, რომელსაც ადგილი ექნება კონტი-
 ნენტური მასივების საკმაო დაახლოვების შემდეგ, ნაოქა სისტემის ქვეშ, შეტ
 წილ შემთხვევაში მაგმური აუზების წარმოშობას უნდა მოველოდეთ, სადაც
 პირველადი ბაზალტური მაგმის დიფერენციაციისათვის ხელსაყრელი პირობები
 იარსებებს.

ლიტერატურა

1. Ampferer O., Über das Bewegungsbild von Faltengebirgen: Jahrb. d. k. k. Geol. Reichsanstalt, 56, 1906, Wien.
2. Andrée K., Über die Bedingungen der Gebirgsbildung. Berlin, 1914.
3. Bucher W. H., Versuch einer Analyse der grossen Bewegungen der Erdkruste: Geol. Rundsch., 30, Heft 3/4, 1939.
4. Bubnoff S. V., Die Gliederung der Erdrinde: Fortschr. d. Geol. und Paläont. B. I, Heft 3, Berlin, 1923.
5. Вегенер А., Происхождение материков и океанов. Москва, 1924.
6. Герасимов А. П., История поверхности земл: журн. „Природа“, № 9—10, 1926, стр. 22—34.
7. Герасимов А. П., Радиоактивные процессы и основные вопросы геологии: Тр. Третьего Всесоюзного съезда Геологов 20—26 сент. 1928 г. Изд. Средне-Азиатск. отд. Геолкома, Ташкент, 1930, стр. 243—253.
8. Deescke W., Die alpine Geosynclinal: Neues Jahrbuch f. Min., Geol., Pal., Bei- lageband XXXIII, 1912.
9. Dutton C. E., On some of the greater problems of physical geology: Bull. of the Phil. Soc. of Washington, XI, 1:92.
10. ჯანელიძე ა., მთების წარმოშობის საკითხისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 5, 1943.

11. Давал, История поверхности земли 1930. Перевод с английского проф. Дани-
ташвили А. Ш.
12. Dana J., Results of the earths contraction from cooling including a discussion of
the origin of mountains and the nature of the earths interior: Amer. Journ.
of Scienc. Vol. 5 and 6. 1873.
13. Sandberg C. G., Geodynamische Probleme, I. Isostasie und die ursächliche Ein-
heit von Gebirgsbildung und Vulcanismus, II. Tektonik und Metamorphose.
Die Widersprüche in der Kontraktionstheorie. Berlin, 1924.
14. Suess E., Die Entstehung der Alpen. Wien, 1875.
15. Suess E., Das Antlitz der Erde. Bd. I, 1883. Bd. II, 1888, Bd. III, T. 1, 1901,
T. 2. 1909.
16. Lindemann B., Kettengebirge. Kontinentale Zerspaltung und Erdexpansion. Jena,
1927.
17. Lozinski W., Vulkanismus und Zusammenschub: Geologische Rundschau, IX,
Heft 3/6, 1918.
18. Обручев В. А., Образование гор и рудных месторождений. Изд. Ак. Наук
СССР, 1942.
19. Обручев В. А., Пульсационная гипотеза геотектоники: Изв. Ак. Наук СССР,
сер. геологич. вып. 1, 1910.
20. Haug E., Les géosynclinaux et les aires continentales: Bull. Soc. Géol., France,
II, ser., t. 28, 1900.
21. Ренк А., Geomorphologische Probleme im Fernen Westen Nordamerica: S.-Ber.
d. Preuss. Ak. d. Wiss., phys.-math., Kl., XII, 1929.
22. Rothpletz A., Geotektonische Probleme. Stuttgart, 1894.
23. Тетяев М. М., Основы Геотектоники. 1934.
24. Усов М. А., Геология рудных месторождений Западно-Сибирского Края. Томск,
1935.
25. Усов М. А., Фазы и циклы тектогенеза Западно-Сибирского края. Томск, 1936.
26. Усов М. А., Геотектоническая теория саморазвития материи земли: Изв. Ак. Наук
СССР., серия геологич. вып. 1, 1940.
27. Elie de Beaumont L., Notice sur les systèmes de montagnes. Paris, 1852.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მინეროლოგიისა და პეტროგრაფიის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1944. V. 16)

Г. М. Заридзе

Образование гор и связанные с ним магматические процессы

Резюме


Критически рассматривая ряд орогенетических гипотез и исходя из фактических данных по Кавказу, автор представляет себе один полный цикл развития земли (орогенезис) следующим образом:

В связи с постепенным сжатием земного ядра и сокращением земного радиуса, происходит погружение определенных участков земной коры. Оседание становится еще более интенсивным, когда из приподнятых вверх материков в области погружения сносится большее количество терриченного материала. Материк поднимается вверх, а область погружения постепенно оседает. Вследствие этого под областью погружения повышается давление, а под континентом, приблизительно на такую же величину, уменьшается. Но разница в силе давлений в этих двух областях не будет расти, так как с области погружения в направлении соседнего континента будет иметь место течение подкоровых пластических базальтовых масс и это будет продолжаться до начала складчатости.

В период господства сжимающих усилий, в определенной части земли, временами имеют место короткие эпизоды расширения, что обуславливает колебание уровня геосинклинального бассейна (области погружения) и излияние первичной, не дифференцированной базальтовой магмы. Происходит борьба двух противоположных сил. С одной стороны, нагруженный осадками бассейн нажимает на базальтовую постель и вытесняет ее, а с другой, базальтовая постель как-то препятствует погружению. Но так как в базальтовой постели, на данном этапе, господствующим является сжатие, поэтому погружение побеждает.

После длительного эволюционного периода погружения определенных областей земной коры и вытеснения пластических масс в противоположные стороны, настает момент, когда дальнейшее вытеснение и сжатие базальтовых масс уже невозможно, так как в результате того-же сжатия, радиоактивных и других процессов, накопилось такое количество энергии, которая уже не преодолима, наподобие пружины, которая способна сжиматься до определенного предела, тем самым накапливая в себе большую отталкивающую силу.

После критического момента начинает побеждать отталкивающее усилие (расширение), с которым связано складкообразование. Последнее, по сравнению с предшествующим эволюционным периодом, яв-



ляется относительно коротким, вследствие чего оно соответствует революционному периоду в одном полном орогенетическом цикле развития земли.

В результате расширения в базальтовой постели должны возникнуть магматические токи, ищущие себе свободное пространство. Поэтому они будут двигаться по направлению лабильных зон земной коры, т. е. бывших областей погружения. Магматические токи во время своего движения увлекут с собой плавающие на них континентальные массивы, которые будут перемещаться к областям погружения и осадкообразования во встречном направлении и собирать их в складки. Это перемещение будет иметь характер толчков, так как, по видимому, накопление энергии происходит периодически.

Движением континентальных массивов обуславливается частичное превращение тепловой энергии в механическую.

Подъем вверх складчатой структуры и образование горной цепи, осуществляется давлением снизу.

Здесь также в период господства расширяющих усилий, время от времени, нужно предполагать небольшие эпизоды сжатия.

В результате напора магмы снизу, который, по видимому, осуществится главным образом после достаточного сближения континентальных массивов, под складчатой системой обычно должны образовываться магматические бассейны, где мы должны ожидать наличия благоприятных условий для дифференциации первичной базальтовой магмы.

G. M. Zaridze

Origin of the mountains and the magmatic phenomena, connected with it

Critical consideration of a series of geotectonical hypotheses, and an assiduous study of the data of the geology of Caucasia, leads the author to form a following idea of one complete cycle of development of the earth.

Gradual contraction of the earth's core results in the sinking of certain areas of the outer crust. The sinking becomes more intensive, as great quantities of terrigenous material are washed away from the continental regions to be deposited in the sinking areas. As the result, the continent is rising while the sinking regions go on sinking. In connection with that, the pressure must increase under the sinking regions, and diminish nearly by the same amount under the continents. But the

difference between the pressures under these regions will not increase, for it will occasion a magmatic infracrustal current, directed from the sinking parts of the crust towards neighbouring continents. This will continue until the folding begins.

During the period when contracting forces are dominant, occasionally there take place short episodic dilatations, which cause the oscillations of the level of geosynclinal basins and eruptions of primary undifferentiated basaltic magma. A struggle of two opposed forces ensues; the basin, overloaded with sediments, presses on the basaltic bed and forces it out, but on the other hand, the same basaltic bed thwarts the sinking movement of the crust. But contraction being the dominant tendency of the basaltic bed, at the present stage of development necessarily the sinking movement prevails.

After a long evolutionary period of sinking of certain parts of the earth's crust and squeezing out of plastic masses, there comes a moment, when no further contraction and squeezing out of basaltic masses is possible, for the contraction, radioactivity and some other processes should result in the accumulation of an insuperable amount of energy. This can be compared to a spring, which contracts to a certain extent, accumulating in itself considerable expansive forces.

After this critical moment, expansive forces (dilatation) begins to prevail, with which folding is connected. The latter in comparison with the preceding evolutionary period is relatively shorter and corresponds to the revolutionary period of the earth's development.

As the result of expansion, in the basaltic bed must arise magmatic currents making for free spaces. Therefore they shall move towards the weak zones of the earth's crust, the former sinking regions. In their movement these currents will carry along the floating continental blocks which, drifting towards the belts of sinking and sedimentation, consequently give beginning to the folding.

The movement of continental blocks stimulates partial transformation of thermal energy into mechanic energy.

The rise of a folded system and the formation of a mountain range is effected by the upward pressure from below.

Here too, during the period of dominant expansion, we must suppose the existence of episodic contractions.

In consequence of the pressure of magma from below, which evidently will be realized after the continental blocks have sufficiently approached each-other, under the folded system must form magmatic basins, where favorable conditions for the differentiation of the primary basaltic magma are to be expected.